პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
16 მარტი
1940 წ.
№ 62 (5763)
ფასი 10 კაპ.

გუშინ თბილისში გაიხსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIII ყრილობა.

ყრილობამ აირჩია ხელმძღვანელი ორგანოები და დაამტკიცა დღის წესრიგი.

ყრილობამ უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო მისალმება ხალხთა გენიალური ბელადის მშობლიური სტალინისადმი.

მოსკოვი

კრემლი

იოსებ გესარიონის-ძე სტალინს

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIII ყრილობა მგზნებარე ბოლშევიკური სალამს გიძღვნით თქვენ, პარტიის დიდ ბელადს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მასწავლებელსა და მეგობარს!

სსრ კავშირის მშრომელნი, თქვენი გენიით აღფრთოვანებულნი, ანხორციელებენ რა კაცობრიობის საუკეთესო, მოწინავე ადამიანთა საუკუნებრივ ოცნებას, აგებენ კომუნიზმის დიად შენობას.

თქვენი სახელი არის მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე ძალის სიმბოლო, შემოქმედებითი აზროვნების დაუშრეტელი წყარო, კომუნიზმის ახალ, მომავალ, კიდევ უფრო დიად გამარჯვებათა სიმბოლო.

ერთი წლის წინათ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ტრიბუნიდან მთელი მსოფლიოს გასაგონად გაისმა თქვენი ისტორიული მოხსენება, რომელიც მთელი ჩვენი ბრძოლისა და მუშაობის კანონსა და საფუძველს წარმოადგენს.

ამ ერთი წლის განმავლობაში საქართველოს ბოლშევიკებმა, ისე როგორც მთელმა ჩვენმა დიდმა პარტიამ, ანხორციელებდნენ რა თქვენს ისტორიულ მითითებებს და საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, კიდევ უფრო განამტკიცეს თავიანთი რიგები: პარტიაში შემოვიდნენ საუკეთესო, ლენინ-სტალინის საქმის ერთგული მოწინავე ადამიანები მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის წრიდან; საქართველოს პარტიული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან კადრების აღსაზრდელად და დასაწინაურებლად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში, დღითი-დღე ამაღლებენ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ხარისხს.

ბოლშევიზმის დაუფლების, რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერების, საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ღრმად შესწავლის შესახებ თქვენს მიერ მოცემულ ისტორიულ მითითებათა განხორციელებამ ახალ სიმაღლეზე აიყვანა თვითეული პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობა სოციალისტური მშენებლობის ახალი წარმატებებისათვის, მტრის ნაძირალთა ოინების მხილებისათვის ბრძოლაში.

ახსოვთ რა თქვენი ბრძნული სიტყვები კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ, საქართველოს ბოლშევიკები იბრძვიან მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის ყოველნაირად გაუმჯობესებისათვის, უნერგავენ რა ხალხს, ლენინურ-სტალინური ინტერნაციონალიზმის დროშით, საბჭოთა პატრიოტიზმის წმინდა გრძნობას.

მთელს დიად საბჭოთა ქვეყანაში ახალი, უდიდესი პატრიოტული აღფრთოვანება გამოიწვიეს სტალინური საგარეო პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვებებმა.

ჩვენმა გმირმა წითელმა არმიამ პანების უღლისაგან იხსნა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მილიონობით მშრომელნი, რომელნიც სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახს შეუერთდნენ.

წითელი არმიის სახელოვანმა მებრძოლებმა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეზღვაურებმა მოსპეს ომის გამჩაღებელთა უმნიშვნელოვანესი ბაზა სსრ კავშირის ჩრდილოეთ-დასავლეთ საზღვრებზე და უზრუნველჰყვეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის აკვნის — ლენინის ქალაქის უშიშროება.

სსრ კავშირის მიერ ფინეთთან დადებული საზავო ხელშეკრულება გენიალური სტალინური სამშვიდობო პოლიტიკის ახალი გამარჯვებაა, რომელიც ომის ინგლისელ და ფრანგ გამჩაღებელთა კიდევ ერთ სასტიკ დამარცხებასა ნიშნავს.

ჩვენ ვალდებულებას ვკისრულობთ თვითეულმა თავის პოსტზე ენერგიული მუშაობით შემდეგშიც განვამტკიცოთ სოციალისტური სამშობლოს ძლიერება, თვითკრიტიკის საფუძველზე აღმოვფხვრათ მუშაობის ნაკლოვანებანი, გავამრავლოთ მუშათა, კოლმეურნეთა და ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა მოწინავე გამოცდილება.

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, ამ ბრძოლაში ჩვენ გვაფრთოვანებს ის სახელოვანი სტალინური ტრადიციები, რომლებსაც თქვენ ორმოც წელზე მეტი ხნის წინათ საფუძველი ჩაუყარეთ საქართველოსა და კავკასიაში.

სძლევდით რა განსაცდელსა და გაჭირვებას, თქვენ არალეგალობის მძიმე პირობებში თავდადებით ჰკრებდით ლენინის დროშის ქვეშ პროლეტარული რევოლუციის ძალებს და მიუძღოდით მათ ცარიზმის სიმაგრეებზე იერიშის მისატანად, ლენინთან ხელიხელჩაკიდებული საფუძველს უქმნიდით ბოლშევიკების დიად პარტიას.

მეფის რეაქციის შავბნელ დროში თქვენ აიარაღებდით მასებს დიადი რწმენით პროლეტარული რევოლუციის გარდუვალი გამარჯვებისადმი, მიუძღოდით მათ წინ, სტალინური წინასწარ გაჭვრეტის გენიით გზას უნათებდით კომუნიზმის ისტორიული გამარჯვებებისაკენ.

დღეს ჩვენ, დიდი სტალინის ეპოქის ბედნიერი თანამედროვენი, მოწამენი ვართ ამ უდიდესი მონაპოვრებისა, რომლებიც მიღწეულია თქვენი ხელმძღვანელობით.

ბრძნული სტალინური ხელმძღვანელობით ჩვენ მივაღწევთ კომუნიზმის გამარჯვებას მთელს მსოფლიოში!

გაუმარჯოს ბოლშევიკების პარტიას და მის საკ. კ. პ. (ბ) სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს პროლეტარული რევოლუციის დიდ გენიოსს, მთელი მშრომელი კაცობრიობის იმედს, ბედნიერებასა და სიამაყეს, ჩვენს მშობლიურ, საყვარელ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს!

სტალინის სახელობის აკადემიის ათი წლისთავი

საზეიმო საიუბილეო კრება

12 მარტს, კუხმისტეროვის სახელობის კლუბში (მოსკოვი), გაიმართა ამხანაგ სტალინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის აკადემიის ათი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

კრებას დაესწრო გზათა სახალხო კომისარი ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩი, რომელსაც დამსწრენი მჭუხარე, ხანგრძლივი ოვაციით შეეგებნენ.

დარბაზში არიან: აკადემიის პროფესორები, მასწავლებლები, სტუდენტები, მოსკოვის რკინიგზის კვანძის მეთაურები და სტახანოველები.

აკადემიის მიერ 10 წლის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ზუბკოვმა. მან კრებას უამბო იმის შესახებ, თუ რა როლს ასრულებს აკადემია ტრანსპორტის ხელმძღვანელი კადრების მომზადებაში, იმაზე, თუ ამჟამად რა წარმატებით ეუფლებიან მეცნიერების მწვერვალებს ის გუშინდელი მუშები, რომლებიც წარმოებაში შრომის გმირობის ნიმუშებს იძლეოდნენ, უამბო მასწავლებელთა შესანიშნავ კადრებზე, რომლებიც ზრდიან მომავალ ინჟინრებს.

მოხსენების შემდეგ იუბილარისადმი მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს: სახალხო კომისრის მოადგილემ, გზათა სახალხო კომისარიატის პოლიტსამმართველოს უფროსმა ამხ. ოლონოვმა, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. სუხანოვმა, საკ. კ. პ. (ბ) ბაუმანის რაიკომის მდივანმა ამხ. აფანასიევმა, გზათა სახალხო კომისარიატის სასწავლებელთა ცენტრალური სამმართველოს უფროსმა ამხ. ჟურავლიოვმა, მოსკოვის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის უფროსმა ამხ. პარფენოვმა და სხვებმა. კრებამ დიდი ყურადღებით მოუსმინა აკადემიის პროფესორებს ამხ. მიხაილოვსა და კოზიჩიჩკს.

შემდეგ გამოქვეყნებულ იქნა აკადემიის საუკეთესო პროფესორების, მასწავლებლებისა და მსმენელების სახელები, რომლებიც დაჯილდოებული არიან გზათა სახალხო კომისრის ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის მიერ.

კრების დასასრულს სიტყვა წარმოსთქვა გზათა სახალხო კომისარმა ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩმა, რომელსაც დამსწრენი მჭუხარე ოვაციით შეხვდნენ. იგი გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიის სახელით მიესალმა საიუბილეო კრების მონაწილეებს.

თავისი ბრწყინვალე, მოხდენილი სიტყვა სახალხო კომისარმა დაამთავრა იმით, რომ ჯანმრთელობა უსურვა რკინიგზელთა საუკეთესო მეგობარს დიდს და ბრძენ ბელადს ამხანაგ სტალინს.

კრება ამ სიტყვებს შეეგება მჭუხარე ტაშითა და „ვაშას“ აღტაცებული შეძახილებით ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

კრებამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო მისალმება ამხანაგ სტალინისადმი, ამხანაგ მოლოტოვის, ლ. მ. კაგანოვიჩისა და ლენინგრადის სამხედრო ოლქის მებრძოლების, მეთაურებისა და პოლიტმუშაკებისადმი.

კრების საზეიმო ნაწილის დამთავრების შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. (საკდესი).

საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობა შეუდგა მუშაობას

გუშინ საღამოს რუსთაველის სახელობის თეატრის შენობაში გაიხსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIII ყრილობა.

ყრილობა გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა **კ. ნ. ჩარკვიანმა.**

ირჩევენ ყრილობის საქმიან პრეზიდიუმს, სამანდატო კომისიას, სამდივნოსა და სარედაქციო კომისიას.

პრეზიდიუმის შემადგენლობაში ყრილობამ აირჩია შემდეგი ამხანაგები: **კ. ნ. ჩარკვიანი, ვ. მ. ბაძრაძე, კ. ნ. შეროზია, ს. მ. იმხანოვი, ი. ვ. ტიულენევი, მ. ი. ბარამია, მ. ი. ჯაში, ა. ე. თოფურიძე, ი. ყ. თავაძე, ი. დ. კოჯლამაზაშვილი, ა. ნ. რაფავა, გ. გ. თვალჭრელიძე, შ. ე. მახარაძე, გ. დ. ჩაჩიბაია, პ. ვ. მჭედლიძე, გ. ე. ნარსია, ვ. გ. ცხოვრებაშკილი, ც. ა. ძარდავა, კ. გ. ბეჭვაია, ბ. ი. ყურაშვილი, ვ. გ. გრიგოლიანი, შ. დ. ნუცუბიძე, ა. ი. მირცხულავა, მ. მ. კვარაცხელია, ი. ა. დოკრონინი, გ. თ. სტურუა, მ. თ. გვწაძე, დ. ა. ჯიჯინაძე, ვ. ა. ლოლაძე.**

სამანდატო კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ ამხანაგები: **რ. ა. კვირკველია, გ. ზ. ძარჩავა, მ. დ. ჩუბინიძე, კ. ი. ბარიშვილი, ნ. ი. ჩარკვიანი, ვ. მ. ძიძიგური, შ. ა. დუბოვსკოი, ა. ტ. სირუნიანი, კ. გ. ჯიჯინაძე.**

სამდივნოს შემადგენლობაში არჩეულ იქნენ ამხანაგები: **ე. ი. ჩერქეზია, ხ. მ. ბექნაროვი, ნ. ს. გაიდაშვილი, ზ. ნ. ჩხუბიანაშვილი, გ. ა. ბოჩაშვილი, გ. ი. კიკნაძე, ი. ხ. ფუტკარაძე.**

ყრილობის სარედაქციო კომისიაში არჩეულ იქნენ ამხანაგები: **ვ. ა. ხატიაშვილი, ა. თ. კვაჭაძე, ნ. პ. სარჭისოვი, გ. კ. კირიაკოვი, მ. კ. დელგა, ვ. ი. ხუბაევი, ვ. ი. ეგნატაშვილი.**

ყრილობა ხანგრძლივი ტაშით იღებს წინადადებას საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შესახებ.

უდიდესი ძლიერებით იგრიალებს ოვაცია, როცა საპატიო პრეზიდიუმის შემადგენლობაში პირველს ასახელებენ მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს.**

დარბაზის ყველა კუთხეში გაისმის აღტაცებული მისალმების შეძახილები ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მშობლიური **სტალინის** პატივსაცემად.

მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი ტაშს უკრავს. ოვაცია დიდხანს არ ცხრება. გაისმის შეძახილები:

„გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**“, „ვაშა!“, „ურა!“, „სალამი დიდ **სტალინს!**“, „გაუმარჯოს **ლენინ-სტალინის** პარტიას!“.

ყრილობა უდიდესი აღფრთოვანებით, მჭუხარე, ხანგრძლივი ტაშით საპატიო პრეზიდიუმში ირჩევს აბრეთვე ამხანაგებს **ვ. მ. მოლოტოვს, კ. ე. ვოროშილოვს, ლ. მ. კაგანოვიჩს, მ. ი. კალინინს, ა. ა. ანდრეევს, ა. ა. ჟდანოვს, ა. ი. მიკოიანს, ნ. ს. ხრუშჩოვს, ლ. პ. ბერიას** და **ნ. მ. შვერნიკს.**

ყრილობის დელეგატები დიდი გულთბილობით მიესალმებიან საპატიო პრეზიდიუმში საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელის, დიდი **სტალინის** ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** არჩევას, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს და რომელმაც ისინი სტალინური ტრადიციების სულისკვეთებით აღზარდა. დარბაზში გაისმის მისალმების შეძახილები:

„გაუმარჯოს სტალინურ სახალხო კომისარს ამხანაგ **ლავრენტი ბერიას!**“, „გაუმარჯოს დიდი **სტალინის** ერთგულ მოწაფეს ამხანაგ **ბერიას!**“.

მთელი დარბაზი, ერთი ბრძოლებით შეპყრობილი, ფეხზე დგება და მჭუხარე ტაშს უკრავს, როცა შემოაქვთ წინადადება, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIII ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ არჩეული იქნას დიდი **სტალინი.** ქვლავ იფეთქებს ოვაცია და გაისმის მისალმების შეძახილები ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად. დელეგატები, ფეხზე ამდგარნი, დიდხანს უკრავენ ტაშს.

ყრილობის დელეგატები ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან ამხანაგ **კ. ნ. ჩარკვიანის** სიტყვებს იმის შესახებ, რომ ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ ამხანაგ **სტალინის** არჩევა საქართველოს ბოლშევიკებისათვის დიდი პატივია.

დღის წესრიგისა და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ, ყრილობა უდიდესი აღფრთოვანებით იღებს მისალმებას **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისადმი.** ტექსტის კითხვა არაერთხელ იქნა შეწყვეტილი ტაშითა და მისალმების შეძახილებით ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად.

ამით მთავრდება ყრილობის პირველი სხდომა.

○

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIII ყრილობის მორიგი სხდომა შესდგება დღეს, დილის 11 საათზე.

სომხეთის კ. პ. (ბ) XIII ყრილობა

ერევანი. 14 მარტს სომხეთის კ. პ. (ბ) XIII ყრილობამ დაამთავრა თავისი მუშაობა.

დახურული (ფარული) კენჭისყრით არჩეულია კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სარევიზიო კომისია.

ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ დელეგატები დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის განცხადებას, რომ სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში ერთხმად არჩეულია ხალხთა ბელადი ამხანაგი **სტალინი,** აგრეთვე ამხანაგები **მიქოიანი** და **ბერია.**

შესდგა სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც აირჩია ცენტრალური კომიტეტის ბიურო. ცენტრალური კომიტეტის მდივნებად არჩეულნი არიან: ამხ. **არუთინოვი, აკოპჯანიანი, სარქისიანი,** მდივნად კადრების დარგში — ამხ. **გუკასოვი** და მდივნად პროპაგანდის დარგში — ამხ. **კარაპეტიანი.** (საკდესი).

საქართველოს მშრომელები მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის დადებულ საზავო ხელშეკრულებას

„კიდევ უფრო განვამტკიცებთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას“

ამხანაგ ლავრენტი ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მრავალრიცხოვან კოლექტივში საყოველთაო კმაყოფილება და სიხარული გამოიწვია საბჭოთა მთავრობის სტალინური სამშვიდობო პოლიტიკის ახალმა დიდმა გამარჯვებამ — ფინეთთან საზავო ხელშეკრულების დადებამ.

14 და 15 მარტს ფაბრიკის ყველა საამქროებსა, განყოფილებებსა და კორპუსებში მოეწყო მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კრებები, რომლებზეც მუშები თავის სიხარულსა და აღფრთოვანებას გამოსთქვამდნენ სახელოვანი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გმირ მებრძოლთა თავდადებით საბჭოთა სამშობლოსათვის.

— საბჭოთა ქვეყნის მუშები და მთელი მშრომელები, — სთქვა სადამომჭრელო საამქროს სტახანოველმა ამხ. კარაპეტიანმა, — არასოდეს დაივიწყებენ ჩვენი სახელოვანი ქვეყნის ძლევამოსილი შეიარაღებული ძალების დამსახურებას საბჭოთა ხალხის წინაშე. სამაგიეროდ, ჩვენ, საწარმოებში მომუშავენი, ამით ავღნიშნავთ წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დამსახურებას, რომ კიდევ უფრო თავდადებით ვიმუშავებთ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად.

— ვიმუშაოთ ყველამ იმისთვის. — სთქვა სამექანიკო საამქროს მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კრებაზე ამხ. ვ. ბახტაძემ, — რომ კიდევ უფრო გავაძლიეროთ ჩვენი სახელოვანი წითელი არმია, კიდევ უფრო მიუვალ ციხე-სიმაგრედ გავხადოთ ჩვენი დიადი ქვეყანა—ასეთია ახლა ყველა ჩვენგანის ამოცანა.

ასევე ილაპარაკეს ამხ. ბარკოვმა, ნ. ძაღლიაშვილმა და სხვ., რომლებიც სიამაყის გრძნობით აღნიშნავდნენ უძლეველი საბჭოთა მთავრობის ბრძნული საგარეო პოლიტიკის კიდევ ერთ დიდ გამარჯვებას.

ლანჩხუთის მშრომელთა მიჯნიგი

(„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ნინოშვილის სახელობის თეატრში თავი მოიყარეს ლანჩხუთის მშრომელებმა — კოლმეურნეებმა, მუშა-მოსამსახურეებმა, ინჟინერ - ტექნიკოსებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა. საბჭოთა მთავრობის ბრძნული სტალინური პოლიტიკის მორიგი გრწყინვალე გამარჯვებით გამოწვეულმა სიამაყის გრძნობამ მოუყარა აქ მათ თავი. თეატრის დარბაზი ხალხით აივსო.

საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის დადებული საზავო ხელშეკრულების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომის მდივანი ამხ. ლესელიძე. მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. გურგენიძემ, პატარაიამ, გვარჯალაძემ, ჩხარტიშვილმა და სხვ., რომლებიც მხურვალედ მიესალმნენ ომის გამჩაღებელთა დამარცხებას და ფინეთთან საზავო ხელშეკრულების დადებას. მიტინგზე გამოსულებმა პირობა დასდეს, რომ კიდევ უფრო მტკიცედ დაიარაზმებიან ლენინ-სტალინის დროშის ირგვლივ და საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებით კიდევ უფრო განამტკიცებენ ჩვენი დიადი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობას.

ხალხმრავალი მიტინგები მიმდინარეობს ადგილობრივ საწარმოებსა და კოლმეურნეობებშიც. ხალხი უველგან დიდი მოწონებით ხვდება ფინეთთან საზავო ხელშეკრულების დადებას.

ვ. მექვაბიშვილი

მიჯნიგები ბათუმის საწარმოებში

(„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

14 და 15 მარტს ბათუმის საწარმოებში ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგები საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის საზავო ხელშეკრულების დადების გამო.

ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო მიტინგი, რომელიც გაიმართა სტალინის სახელობის ნავთსახდელ ქარხანაში.

— ომის გამჩაღებლებმა, — ნათქვამია ამ მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში, — როგორც მოსალოდნელი იყო, სასტიკი მარცხი განიცადეს. ამას ჩვენ ვუმადლით ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის და გმირული საბჭოთა ავიაციის მამაც მებრძოლებს, რომლებმაც ასახელეს ჩვენი ქვეყანა.

ქ. დოგორჯგინიძე

გორის მშრომელთა გამოხმაურება

(„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

საყოველთაო კმაყოფილება და სიხარული გამოიწვია გორის მშრომელებში ცნობამ საბჭოთა კავშირის სტალინური სამშვიდობო პოლიტიკის მორიგი ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ.

15 მარტს გორის საკონსერვო ქარხანაში შემდგარ მიტინგზე, მუშებმა ყურადღებით მოისმინეს ცნობა და ახსნაგანმარტება ფინეთთან დადებული საზავო ხელშეკრულების შესახებ.

ხალხმრავალი მიტინგები შესდგა აგრეთვე გორის სახერხ ქარხანაში და სხვა ადგილობრივ საწარმოებში. რაიონის სოფლებიდან მოდის ცნობები, რომ ფინეთთან საზავო ხელშეკრულების დადებამ ერთსულოვანი მოწონება ჰპოვა კოლმეურნეებში.

ს. უურაშვილი

ლანჩხუთის მშრომელთა მიჯნიგი

(„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ნინოშვილის სახელობის თეატრში თავი მოიყარეს ლანჩხუთის მშრომელებმა — კოლმეურნეებმა, მუშა-მოსამსახურეებმა, ინჟინერ - ტექნიკოსებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა. საბჭოთა მთავრობის ბრძნული სტალინური პოლიტიკის მორიგი ბრწყინვალე გამარჯვებით გამოწვეულმა სიამაყის გრძნობამ მოუყარა აქ მათ თავი. თეატრის დარბაზი ხალხით აივსო.

საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის დადებული საზავო ხელშეკრულების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომის მდივანი ამხ. ლესელიძე. მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. გურგენიძემ, პატარაიამ, გვარჯალაძემ, ჩხარტიშვილმა და სხვ., რომლებიც მხურვალედ მიესალმნენ ომის გამჩაღებელთა დამარცხებას და ფინეთთან საზავო ხელშეკრულების დადებას. მიტინგზე გამოსულებმა პირობა დასდეს, რომ კიდევ უფრო მტკიცედ დაიარაზმებიან ლენინ-სტალინის დროშის ირგვლივ და საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებით კიდევ უფრო განამტკიცებენ ჩვენი დიადი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობას.

ხალხმრავალი მიტინგები მიმდინარეობს ადგილობრივ საწარმოებსა და კოლმეურნეობებშიც. ხალხი უველგან დიდი მოწონებით ხვდება ფინეთთან საზავო ხელშეკრულების დადებას.

ვ. მექვაბიშვილი

დიდ მადლობას ვუხდი ყველა ორგანიზაციას, ჯგუფებსა და პირებს, რომლებმაც ჩემი დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით გამომიგზავნეს მისალმებანი და მილოცვები.

ვ. მოლოდოვი

საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობის აღსანიშნავად

საწარმოო დავალების 2.085 პროცენტით შესრულება

ხაშური, 15 მარტი (საქდესი). წარჩინებული სტახანოველი, ხაშურის სავაგონო დეპოს მჭედელი ამხ. ბ. კალმახელიძე საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობის გახსნის დღეს ახალი საწარმოო წარმატებებით შეხვდა, მან შრომის განსაკუთრებით მაღალი ნაყოფიერება გვიჩვენა: 14 მარტს ცვლის საწარმოო დავალება 2.085 პროცენტით შეასრულა.

თავისი რეკორდი წარჩინებულმა სტახანოველმა ამხ. კალმახელიძემ საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობას მიუძღვნა.

ორჯონიკიძის შემდუღებლის ამხ. ზ. ნადირაძის რეკორდი

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის წარჩინებულმა შემდუღებელმა, ორჯონიკიძის სახელობის ორთქლმავლების 4 ცილინდრი შეადუღა, რითაც ცვლის გეგმა 2072 პროცენტით შეასრულა.

მოო რეკორდით აღნიშნა. 15 მარტს 7 საათის განმავლობაში მან

საკავშირო ვახტაზე

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველები დადგნენ საპატიო ვახტაზე საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობის აღსანიშნავად.

საამწყობო საამქროში 15 მარტს ამხ. ზ. ზუბიევის მეჩარჩოეთა ბრიგადამ ცვლის გეგმა 700 პროცენტით შეასრულა.

სტახანოველმა ზეინკალმა ამხ. ე. მექოშვილმა ცვლაში შეაკეთა წყლის საორთქლმავლო ონკანი და, ამგვარად, ცვლის დავალება 714 პროცენტით შეასრულა.

საქვაბო საამქროში ამხ. ბაბაევის ბრიგადამ გეგმა 846 პროცენტით შეასრულა.

ამხ. ი. ქებაძის ბრიგადამ 7 ნორმაზე მეტი გამოიმუშავა.

სახარატო-მექანიკურ საამქროში ხარატმა, საამქროს პროფორგმა ამხ. გ. ჭოვრელმა გეგმა შეასრულა 1.285 პროცენტით, ხარატმა ამხ. გ. სტურუამ—595 პროცენტით, ხარატმა ამხ. ნ. გავრიკოვმა—500 პროცენტით.

სატვირთო ვაგონების საამქროში მჭედელმა ამხ. ბ. სადაგაშვილმა და თოქმაჩმა ამხ. გ. კიკნაძემ ცვლის დავალება 755 პროცენტით შეასრულეს. (საქდესი).

ყრილობის გახსნას ახალი წარმატებებით შეხვდნენ

ლანჩხუთის რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ახალი წარმატებებით შეხვდნენ საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობას. რაიონმა შეასრულა ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს, ვენახისა და ბამბუკის მიმდინარე წლის გაზაფხულზე გასაშენებლად საჭირო ნიადაგის მომზადების გეგმა. ციტრუსებისათვის კოლმეურნეობებში და კოლმეურნეთა საკარმიდამო ფართობებზე ნიადაგი მომზადებულია 428 ჰექტარზე (მათ შორის კოლმეურნეობებში — 218,9 ჰექტარი). კოლმეურნეობებს მზად აქვთ აგრეთვე ჩაისათვის 10 ჰექტარი, ტუნგოსათვის — 30, ვენახისათვის — 26 და ბამბუკისათვის—30 ჰექტარი.

რაიონში ჩატარებულია ჩაის პლანტაციების შებარვა 1.100 ჰექტარზე, სომინდისათვის მოხნულია 340 ჰექტარი, გადარჩეული, გაწმენდილი და შემოწმებულია სომინდის, ლენინაკოვი, ვ. ა. მახნევი, ზ. ა. მოსესოვი, ა. ნ. სტოლიაროვი, გ. ი. უდრასი, მ. კ. ჩერნიაკი, ვ. გ. უუკოვი, ა დ. ისანოვი, ი. მ. კარტაშოვი. (საკდესი).

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოუენის მონაწილეობის ახალი კანდიდატები

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ დაამტკიცა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეობის 2.509 ახალი კანდიდატი. დამტკიცებულია 264 კოლმეურნეობა, 24 საბჭოთა მეურნეობა, მეცხოველეობის 18 სასაქონლო ფერმა, 128 მეურნეობა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის 2.075 მოწინავე მუშაკი და ორგანიზატორი. სულ გამოფენის მონაწილეობის კანდიდატად დამტკიცებულია 3.777 კანდიდატი.

ახლად დამტკიცებულ კანდიდატთა შორის არის წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვედა-მაღლაკის კოლმეურნეობა „მოწინავე“, რომელმაც სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში ჰექტარზე 22,1 ცენტნერს უდრის. სიღნაღის რაიონის სოფელ ტბაიანის კოლმეურნეობა „ოქტომბრის რევოლუციის 13 წლისთავი“ გამოფენაზე წარსდგება თავისი მაჩვენებლებით მევენახეობის დარგში. ამ კოლმეურნეობამ 1939 წელს ჰექტარზე საშუალოდ 112,37 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა. საშუალო მოსავალი სამი წლის განმავლობაში 80,32 ცენტნერ ყურძენს შეადგენს. ახალ ვაზის გაბარება 95,4 პროცენტით გამოიხატა. (საქდესი).

„აბესალომ და ეთერი“ მოსკოვის დიდ თეატრში

მოსკოვი, 14 მარტი **(ჩვენი საკ. კორ.).** გუშინ დიდ თეატრში გაიმართა ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის“ მორიგი წარმოდგენა, რომელიც წინა წარმოდგენებისაგან განსხვავდებოდა იმით, რომ მთავარი ძალების შემსრულებლები ახალგაზრდა მომღერლები იყვნენ. აბესალომის პარტია საუცხოოდ შეასრულა ბოლშაკოვმა, ეთერის პარტია — ახალგაზრდა ნიჭიერმა მომღერალმა შაილერმა. ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვეს პარფენენკო, რომელიც მარიხის პარტიას ასრულებდა. ეს მომღერალი დიდ თეატრში მხოლოდ გასული წლის შემოდგომაზე მოვიდა; იგი აღზარდა და დაამწინაურა მუშათა თვითმოქმედებამ, სადაც იგი გუნდებსა და ჯგუფებში გამოდიოდა. მაღალი ვოკალური ოსტატობა და მუსიკალური კულტურა გვიჩვენა ივანოვმა, რომელიც მურმანის როლს ასრულებდა.

დიდი თეატრის ახალგაზრდა ძალების ამ შემოქმედებითმა დათვალიერებამ ფალიაშვილის საუცხოო მელოდიების მასალაზე გვიჩვენა — ტალანტების რა დაუშრეტელი წყარო გააჩნია საბჭოთა ხალხს. „პრავდა“ და „იზვესტია“ დღეს აღნიშნავენ გუშინდელი წარმოდგენის წარმატებას.

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული საბჭოთა კონტროლის კომისიის წევრებად დაამტკიცა შემდეგი ამხანაგები: **დ. მ. ბუბნოვი, ი. ფ. მასლოვი, ა. ნ. სტოლიაროვი, გ. ი. უდრასი, მ. კ. ჩერნიაკი, ვ. გ. უუკოვი, ა დ. ისანოვი, ი. მ. კარტაშოვი.** (საკდესი).

ოთახი ობსერვატორიის შენობაში, სადაც ამხანაგი სტალინი მუშაობდა

თბილისი. პლეხანოვის პროსპექტი, 150. სამ სართულიანი შენობის ფასადზე მიკრულია მემორიალური დაფა წარწერით ქართულ და რუსულ ენაზე:

„დიდი სტალინი

საკავშირო კომუნისტური პარტიისა (ბ) და მსოფლიო პროლეტარიატის

ბელადი

ცხოვრობდა და მუშაობდა აქ, ტფილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიაში, 1899 წლის 28 დეკემბრიდან 1901 წლის 21 მარტამდე და ხელმძღვანელობდა ტფილისის მუშათა არალეგალურ სოციალ-დემოკრატიულ წრეებს“.

ამჟამად აქ მოთავსებულია მთავარი მეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველო.

შენობის გამწვანებულ ეზოში აღმართულია დიდი **სტალინის** მონუმენტური ფიგურა. მოშორებით, მდუდუნე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე სდგას ერთსართულიანი ფლიგელი. შიგ რამდენიმე პატარა ოთახია. ერთი მათგანი დამკვირვებელთა სამორიგეო ოთახი იყო. ორმოცი წლის წინათ ამ ოთახში მუშაობდა **ბოსებ ბესარიონის-ძე ჯუღაშვილი.**

ახლა ეს ოთახი **ვ. ი. ლენინის** მუზეუმის თბილისის ფილიალის მიერ რესტავრირებულია. ფანჯრის ახლოს დგას უბრალო ხის მაგიდა, რომელზედაც მუშაობდა ამხანაგი **სტალინი.** იმ დროიდან ერთ კუთხეში ჰკიდია ორი გასლერის საათი, რომლებსაც დროის სამსახურისათვის იყენებენ. მეორე კუთხეში დგას ყავისფერი განჯინა, სადაც ინახებოდა დამკვირვებელთა ჩანაწერები და საკანცელარიო ნივთები. აქვე მოთავსებულია ქრონოგრაფი (საათის მუშაობის სიზუსტის გამსაზღვრელი ხელსაწყო), ატმოგრაფი, წვიმის საზომი. მეზობელ ოთახში არის ბარომეტრი № 90. ამხანაგ სტალინს ამ ხელსაწყოებთან ჰქონდა საქმე.

რესტავრირებული ოთახის კედლებზე გამოფენილია მასალა და დოკუმენტები, რომლებიც მოგვითხრობენ ამხანაგი სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობასა და სამსახურზე.

როგორც ცნობილია, 1899 წლის 29 მაისს ამხანაგი სტალინი მარქსიზმის პროპაგანდისათვის გარიცხული იქნა თბილისის სასულიერო სემინარიიდან. „ერთხანს სტალინი თავს არჩენს გაკვეთილებით, ხოლო შემდეგ კი შედის სამუშაო თბილისის ფიზიკურ ობსერვატორიაში აღმრიცხველ-მეთვალყურედ, ერთი წუთითაც არ სწყვეტს რევოლუციურ მოღვაწეობას“.

(„ი. ბ. სტალინი. მოკლე ბიოგრაფია“).

ამას ნათლად ადასტურებენ აქ წარმოდგენილი დოკუმენტები.

ნიკოლოზის დროინდელი მთავარი ფიზიკური ობსერვატორიის 1899 წლის ანგარიშში (ფოტოასლი) ნათქვამია, რომ თბილისის ობსერვატორიის პირად შემადგენლობაში საანგარიშო წლის განმავლობაში მოხდა შემდეგი ცვლილებანი:

„...28 დეკემბრიდან თავისუფალი დაქირავებით სამსახური დაიწყო ი. ბ. ჯუღაშვილმა და მ. დავიდოვმა, რომლებიც თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდნენ“.

უდიდეს ინტერესს იწვევს მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა ცხრილები, რომლებიც შედარებული და შემოწმებულია ამხანაგ სტალინის მიერ და რომლებზედაც წითელი მელნით ამხანაგ სტალინის მიერ გაკეთებულია ხელმოწერა „ჯუღაშვილი“. 1899 წლის ეს ცხრილები მთლად აჭრელებულია ამხანაგ სტალინის მიერ შეტანილი შესწორებებით. თითქმის ყველა ცხრილის მრავალი ციფრი შემოწმების შემდეგ გადასწორებულია ამხანაგი სტალინის მიერ წითელი მელნით. აქვე მოთავსებულია მაგნიტურ დაკვირვებათა ლენტები, რომლებიც დამუშავებულია ამხანაგ სტალინის მიერ - მეთვალყურე იოსებ ჯუღაშვილის მიერ, კერძოდ, 1901 წლის 28-29 იანვრის მაგნიტურ დაკვირვებათა ლენტები.

თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს მიერ პოლიციის დეპარტამენტში 1901 წლის 28 მარტს წარდგენილი მოხსენების ამონაწერი მოგვითხრობს თბილისის ფიზიკური ობსერვატორიის მოსამსახურე იოსებ ჯუღაშვილის რევოლუციურ მოღვაწეობაზე. ეს ამონაწერი მოწმობს აგრეთვე, რომ ამხანაგ სტალინს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ინჟინერ-ქიმიკოს ვიქტორ კურნატოვსკასა და სხვა რევოლუციონერ მარქსისტებთან. მოგვყავს ადგილი ამონაწერიდან:

„...ამ წლის იანვრის თვიდან ქალ. თბილისში ჩემდამი რწმუნებულ სამმართველოში შემჩნეულ იქნა, როგორც ადგილობრივი, ისე რუსი ინტელიგენციის ერთი ჯგუფი, რომელმაც, როგორც ეს აგენტურული ცნობებიდან სჩანს, ჩამოაყალიბა სოციალ - დემოკრატიული წრე; ამ წრეს მიზნად აქვს დასახული სისტემატური პროპაგანდით გამოიწვიოს უკმაყოფილება ადგილობრივ მუშებში მათი მდგომარეობის გამო, ჩაგონოს მათ რევოლუციური იდეები და ამით ხელი შეუწყოს მუშათა კლასის საერთო რევოლუციური მოძრაობის მომზადებას.

აგენტურული ცნობებით თბილისის სოციალ-დემოკრატიული წრის შემადგენლობაში შედიან შემდეგი პირები:

...3) თბილისის ფიზიკური ობსერვატორიის მოსამსახურე იოსებ ჯუღაშვილი — ინტელიგენტი, რომელსაც კავშირი აქვს რკინიგზის მუშებთან...

7) ინჟინერი-ქიმიკოსი ვიქტორ კურნატოვსკი — ინტელიგენტი, რომელიც კითხულობს როგორც რკინიგზის მუშათა საიდუმლო წრეში, აგრეთვე ასოთამწყობთა საიდუმლო წრეში...“

ამხანაგი სტალინი მაშინ ცხოვრობდა ობსერვატორიის შენობის ერთ-ერთ ოთახში, სადაც მასთან ხშირად დადიოდნენ მისი თანამებრძოლი ლადო კეცხოველი, ვიქტორ კურნატოვსკი და სხვ.

არა ნაკლებ ინტერესს იწვევს ჟანდარმთა სამმართველოს ორი სხვა დოკუმენტიც. ერთ მათგანში ნათქვამია, რომ 1901 წლის 21 მარტს ღამით ამხანაგ სტალინის ბინაზე ჩატარებულ გაჩხრეკის დროს „ჯუღაშვილი შინ არ იყო, რის გამოც თავდაპირველად გაჩხრეკილ იქნა მასთან მცნოვრები ობსერვატორიის მეთვალყურე...“

გაჩხრეკა და პოლიციის განკარგულება დაპატიმრების შესახებ, რაც შემდეგ გამოირკვა, სტალინს იძულებულს ხდიან არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდეს.

23 მარტს, გაჩხრეკიდან ერთი დღის შემდეგ, ჟანდარმთა ცალკე კორპუსის როტმისტრი რუნიჩი სწერს დადგენილებას:

„...მივიღე რა მხედველობაში, რომ სოციალ-დემოკრატიული წრის თვალყურის დევნების მიმოხილვაში მოცემული აგენტურული ცნობებით ფიზიკურ ობსერვატორიის მოსამსახურეს მეთვალყურეს იოსებ ჯუღაშვილს კავშირი აქვს მუშებთან; ბევრი შესაძლებელია რომ, იგი სოციალ-დემოკრატებს ეკუთვნის; აგრეთვე გაჩხრეკის დროს მისთვის ჩამორთმეული მიმოწერის სახელდახელო გადათვალიერებით აღმოჩნდა ს. ნ. პრომპოკოვიჩის „მუშათა მოძრაობა დასავლეთში“, რომელსაც ცენზურის თარიღი არა აქვს და რომელ წიგნშიც აღნიშნულია სხვადასხვა აკრძალულ გამოცემათა ამონაწერები და დამოწმებანი და გატარებულია სოციალ-დემოკრატიულ იდეათა ქადაგების პროგრამა, **დავადგინე** ხსენებული იოსებ ჯუღაშვილი მიცემული იქნას...“

ამ დოკუმენტის გვერდით ჰკიდია ნიკოლოზის დროინდელი მთავარი ფიზიკური ობსერვატორიის 1901 წლის ანგარიშის ლაკონური ამონაწერი:

„28 მარტს სამსახურის თავი დაანება თავისუფალი დაქირავებით მოსულმა აღმრიცხველმა-მეთვალყურემ ი. ბ. ჯუღაშვილმა“.

ოთახის კედლებზე მოთავსებულია ამხანაგ სტალინის პორტრეტები იმავე პერიოდისა. ერთი მათგანი ეკუთვნის 1902 წელს, მეორე — 1896-97 წლებს, როდესაც ახალგაზრდა **სტალინი** აწყობდა და ხელმძღვანელობდა თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა რევოლუციურ მარქსისტულ წრეებს. აქვე არის ობსერვატორიის შენობის ფასადის ფოტოსურათი (მის რესტავრაციამდე) და სხვა დოკუმენტები და მასალები.

ეს ოთახი შეტანილია სტალინურ მარშრუტში ქალაქ თბილისში.

ობსერვატორიის რესტავრირებული ოთახი ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელია ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციათა ისტორიისა, რომელთა ფუძემდებელიც არის დიდი **სტალინი.** ამ ოთახის დათვალიერება საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელთ დაბმარებას გაუწევს უკეთ შეითვისონ 1898-1900 წლების პერიოდი, როდესაც „შეიქმნა და ჩამოყალიბდა თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ცენტრალური სოციალ - დემოკრატიული ჯგუფი...“ (ლ. პ. ბერია).

საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობის დელეგატები (მარცხნიდან): **დ. სანაძე** — კამის სახელობის ქარხნის დირექტორი და **ბ. ლუდვიგოვი** — მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის მუზეუმის დირექტორი.

ფოტო რ. აკოფოვისა.

12½ ათასი დოკუმენტი და მასალა — ლენინისა და სტალინის შესახებ

საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან ყოველდღე ათობით წერილი მოსდის ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალს, რომლებითაც სთხოვენ მას დახმარებას პარტიული კაბინეტების მოწყობაში, საწარმოებში, სკოლებსა და დაწესებულებებში ლენინურ - სტალინური ოთახების მოწყობაში. იწერებიან: ივანოვოს პიონერთა და ოქტომბრელთა სახლი, კრამატორსკის პარტიის საქალაქო კომიტეტი, ბუხარის საოლქო მუზეუმი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ლენინგრადის ინსტიტუტი, უზბეკეთის სახელმწიფო მუზეუმი სამარყანდში, რევოლუციის მოსკოვის მუზეუმი, მინსკის ისტორიული მუზეუმი და ჩიტის საოლქო მუზეუმი. იწერებიან ირკუტსკიდან, ნარიმიდან, ხაბაროვსკიდან და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებიდან.

ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი გზავნის დოკუმენტებსა და მასალებს სსრ კავშირის პროლეტარული რევოლუციის გენიოსების ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მარტო შარშან ფილიალმა 12.430 დოკუმენტი გაგზავნა. ამ დოკუმენტების ფოტოპირთა რაოდენობა 32.032 უდრის.

წელს პარტიული ორგანიზაციებისაგან, სამეცნიერო დაწესებულებათა და სკოლებისაგან უფრო მეტი წერილია მიღებული. (საქდესი).

რაიონული პარტიული კონფერენციები

წყალტუბო

(„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) წყალტუბოს რაიონის კონფერენცია.

საქმიანი პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ კონფერენციამ საპატიო პრეზიდიუმში ხანგრძლივი ტაშის გრიალში აირჩია საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობა დიდი **სტალინის** მეთაურობით და აგრეთვე ამხანაგები: დიმიტროვი, ტელმანი, ჩარკვიანი და ბაქრაძე.

კონფერენციამ მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) წყალტუბოს რაიონის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად და განვლილი პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად. რაიკომის შემადგენლობაში არჩეულ იქნა 27 წევრი და 9 კანდიდატი.

შესდგა ახლად არჩეული რაიკომის პლენუმი, რომელმაც აირჩია რაიკომის ბიუროში 5 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით. საქ. კ. პ. (ბ) წყალტუბოს რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. **ვ. ტოგონიძე,** მეორე მდივნად—ამხ. **მ. პატარიძე** და მესამე მდივნად ამხ. **ა. გურეშიძე.**

ი. ვაშაკიძე

ჩოხატაური

(„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) ჩოხატაურის მე-9 რაიონული კონფერენცია. ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნების შემდეგ კონფერენციამ მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. ლ. ჩხეიძეშვილის საანგარიშო მოხსენება რაიკომის განვლილ მუშაობაზე და აგრეთვე სარევიზიო კომისიის ანგარიში.

მოსმენილ მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 29 კაცმა. კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად, ხოლო პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად; არჩეულ იქნა რაიკომი 39 წევრისა და 11 კანდიდატის შემადგენლობით.

შესდგა ახლად არჩეული რაიკომის პლენუმი, რომელმაც აირჩია რაიკომის ბიუროში 7 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით. რაიკომის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. **ლ. ჩხეიძეშვილი,** მეორე მდივნად — ამხ. **გრ. დარჩია** და მესამე მდივნად —**ნ. კილასონია.**

ევ. ცინცაძე

ზემო-სვანეთი

(„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ჩატარდა ზემო-სვანეთის მეორე რაიონული პარტკონფერენცია.

განვლილი მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივანი ამხ. გ. ადამია.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ საუყეო მრეწველობისა და ოქროს წარმოების პირველადმა პარტორგანიზაციებმა ცუდ უზრუნველყვეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სამეურნეო საქმიანობასთან შეთავსება. საუყეო მრეწველობა და „ინგუროქრომს“ წარმოება 1940 წლის გეგმების შესრულებაში ჩამორჩა. რაიკომის ინსტრუქტორები საკმაო დახმარებას არ უწევდნენ პირველადს პარტორგანიზაციებს და სხვ.

კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად, ხოლო პრაქტიკული მუშაობა — დამაკმაყოფილებლად.

კონფერენციამ მისალმების დეპეშა გაუგზავნა საქართველოს ბელადს დიდ **სტალინს.**

ჩოხორწყუ

(„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ორ დღეს გრძელდებოდა საქ. კ. პ. (ბ) ჩხოროწყუს VI რაიონული კონფერენცია. საპატიო და საქმიანი პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ კონფერენციამ მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) ჩხოროწყუს რაიკომის მდივნის ამხ. ა. კაკულიას და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ვ. ქვარაცხელიას საანგარიშო მოხსენებები.

თავის მოხსენებაში ამხ. ა. კაკულია ვრცლად შეჩერდა მიღწევებზე და აღნიშნა ნაკლოვანებებიც.

ამხ. კაკულიას მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს პ. იზორიამ, ნ. ჯინჯოლავამ, ი. ქვარცხავამ, შ. შენგელიამ, პ. სიჭინავამ, სპ. ქვარცხავამ, დ. ქობალიამ, გ. სტეფანიამ, მ. კვირტიამ და სხვებმა, სულ 30 ამხანაგმა.

კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად, ხოლო პრაქტიკული მუშაობა — დამაკმაყოფილებლად.

კონფერენციამ აირჩია რაიკომი 27 წევრისა და 9 კანდიდატის შემადგენლობით, სარევიზიო კომისია — 5 კაცის შემადგენლობით. საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობის დელეგატებად აირჩიეს გადამწყვეტი ხმით — 3 ამხანაგი, ხოლო სათათბირო ხმით — ერთი ამხანაგი.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ შესდგა რაიკომის პლენუმი. პლენუმმა საქ. კ. პ. (ბ) ჩხოროწყუს რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. **ა. კაკულია,** მეორე მდივნად — ამხ. **გ. სტეფანია,** მესამე მდივნად—ამხ. **სპ. ქვარცხავა.**

კ. ხუნდუა

ვანი

სამ დღეს გრძელდებოდა ვანის რაიონული პარტიული კონფერენციის მუშაობა. კონფერენციამ საქმიანი პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ სპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ტაშის გრიალით ერთხმად აირჩია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი **სტალინის** მეთაურობით და ამხანაგები **ჩარკვიანი და ბაქრაძე.**

კონფერენციამ მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. ივ. ფარცხალაძის მოხსენება. რაიკომის მდივნის ანგარიში მოკლებული იყო ბოლშევიკურ კრიტიკასა და თვითკრიტიკას.

კამათში გამოსულმა კომუნისტებმა მკაცრად გააკრიტიკეს რაიონული კომიტეტის განვლილი მუშაობა; მათ აღნიშნეს, რომ რაიკომი მეტად სუსტად ხელმძღვანელობდა საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებს. ზოგიერთი საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევდა პარტიაში ახალ წევრთა მიღებას. წინასწარ არ ხდებოდა პარტიაში მისაღები ადამიანების შესწავლა, პარტიაში შემომსვლელთ არ ეხმარებოდნენ საბუთების გაფორმებაში, რის შედეგადაც სოფ. ციხე-სულორის ბერიას სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულ პარტორგანიზაციას, სულორის ტერიტორიულ და მრავალ სხვა პარტორგანიზაციას გასულ წელს პარტიაში არცერთი კაცი არ მიუღიათ. განსაკუთრებით სუსტად მიმდინარეობდა პარტიაში ქალთა მიღება. საანგარიშო პერიოდში საპარტიისიო — 25 თებერვლის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულ პარტორგანიზაციას არცერთი ქალი არ მიუღია პარტიაში. ასეთივე მდგომარეობაა მთის ძირის — მოლოტოვის სახელობის და ციხესულორის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებში. ნაკლები ყურადღება ექცეოდა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის დაუფლებას. კომუნისტების თვალსაჩინო ნაწილი ჯერაც არ შესდგომია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლას.

ქვედა ვანის კოლმეურნეობა „გათიაღის“ თავმჯდომარემ ამხ. მამფორიამ აღნიშნა, რომ რაიკომი უსულგულოდ ეკიდებოდა ახალგაზრდა კადრების აღზრდა-დახმარებას. გასულ წელს რაიონის 24 კოლმეურნეობაში რაიკომმა 28 თავმჯდომარე მოხსნა. ამან დიდად იმოქმედა კოლმეურნეობათა სამეურნეო საქმიანობაზე.

კონფერენციამ რაიკომის განვლილი მუშაობა არადამაკმაყოფილებლად სცნო და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. კონფერენციამ დახურული (ფარული) ქვეწისყრით აირჩია რაიკომის პლენუმი 31 წევრისა და 9 კანდიდატის და სარევიზიო კომისია 5 კაცის შემადგენლობით. საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობის დელეგატებად არჩეულია 4 კაცი.

საქ. კ. პ. (ბ) ვანის რაიონული კომიტეტის პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. **გ. კაკაბაძე,** მეორე მდივნად—ამხ. **მაჩაიძე,** მესამე მდივნად — ამხ. **გ. სანიკიძე.**

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **მ. ჯალი.** (საქდესი).

საგარეჯო

ამ დღეებში მიმდინარეობდა **IX** რაიონული პარტიული კონფერენცია. რაიკომის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივანი ამხ. ვ. პაქსაშვილი. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 22 კაცმა.

კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად, ხოლო პრაქტიკული, მუშაობა დამაკმაყოფილებლად. შემდეგ არჩეულ იქნა რაიკომი 27 წევრისა და 9 კანდიდატის შემადგენლობით.

შესდგა ახლად არჩეული რაიკომის პლენუმი. რაიკომის პირველ მდივნად ერთხმად არჩეულია ამხ. **ვ. პაქსაშვილი,** მეორე მდივნად — **ი. აბუსერიძე,** მესამე მდივნად — **ლ. გრძელიშვილი.**

ჩხარი

ჩატარდა ჩხარის რაიონის V პარტიული კონფერენცია.

საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ჩხარის რაიკომის მდივანი ამხ. დ. კაპანაძე. კამათში მონაწილეობა მიიღო 21 კაცმა.

კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად, ხოლო პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად.

რაიკომის შემადგენლობაში აირჩიეს 27 წევრი და 9 კანდიდატი.

საქ. კ. პ. (ბ) ჩხარის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. **დ. კაპანაძე,** მეორე მდივნად — ამხ. **დ. კაჭკაჭოვი,** მესამე მდივნად — ამხ. **დ. შავიძე.**

წალენჯიხა

(„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

რამდენიმე დღის წინათ ჩატარდა წალენჯიხის რაიონის VI პარტიული კონფერენცია.

კონფერენციამ მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. ი. ნაჭყებიას და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ჟ. შამუგიას საანგარიშო მოხსენება.

მოხსენებათა გამო კამათში გამოვიდა 21 კაცი. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ამაშის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. პარტიაში მიღებულია მრავალი მოწინავე ადამიანი, გაუმჯობესდა პარტიული მუშაობა. საკ. კ. პ. (ბ) გმირული ისტორიის შესწავლას სერიოზული ყურადღება ექცეოდა. დელეგატები შეჩერდნენ აგრეთვე პარტიული და სამეურნეო მუშაობის ნაკლოვანებებზე.

კონფერენციამ რაიკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო, ხოლო პოლიტიკური ხაზი სწორად.

არჩეულ იქნა რაიკომის პლენუმში 33 წევრის შემადგენლობით და სარევიზიო კომისია. აირჩიეს აგრეთვე საქ. კ. პ (ბ) XIII ყრილობის დელეგატები.

კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ხალხთა ბელადს დიდ **სტალინს,** მძლავრი საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელს ამხ. **ლ. პ. ბერიას** და საქ. კ. პ (ბ) ც. კ-ის მდივანს ამხ. **კ. ჩარკვიანს.**

შესდგა რაიონის პლენუმი. რაიონის ბიუროში არჩეულ იქნა 7 წევრი და 2 კანდიდატი. პლენუმმა საქ. კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. **პ. კორთხონჯია,** მეორე მდივნად—ამხ. **ლ. ნადარეიშვილი,** მესამე მდივნად—ამხ. **მ. ბარათელი.**

პრ. ჩაგანავა

აბაშა

(„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

კულტურის სახლში გაიხსნა აბაშის IX რაიონული პარტიული კონფერენცია. კონფერენციამ მქუხარე ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში აირჩია ხალხთა ბრძენი ბელადი დიდი **სტალინი,** აგრეთვე მისი თანამებრძოლები მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, კალინინი, ანდრეევი, ჟდანოვი, მიქოიანი, ხრუშჩოვი, ბერია, შვერნიკი.

კონფერენციაზე საქ. კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომის განვლილი მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივანი ამხ. პ. კორთხონჯია.

საანგარიშო მოხსენების გამო კამათში გამოვიდა 21 კაცი. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ აბაშის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. პარტიაში მიღებულია მრავალი მოწინავე ადამიანი, გაუმჯობესდა პარტიული მუშაობა. საკ. კ. პ. (ბ) გმირული ისტორიის შესწავლას სერიოზული ყურადღება ექცეოდა. დელეგატები შეჩერდნენ აგრეთვე პარტიული და სამეურნეო მუშაობის ნაკლოვანებებზე.

კონფერენციამ რაიკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო, ხოლო პოლიტიკური ხაზი სწორად.

არჩეულ იქნა რაიკომის პლენუმში 33 წევრის შემადგენლობით და სარევიზიო კომისია. აირჩიეს აგრეთვე საქ. კ. პ (ბ) XIII ყრილობის დელეგატები.

კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ხალხთა ბელადს დიდ **სტალინს,** მძლავრი საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელს ამხ. **ლ. პ. ბერიას** და საქ. კ. პ (ბ) ც. კ-ის მდივანს ამხ. **კ. ჩარკვიანს.**

შესდგა რაიონის პლენუმი. რაიონის ბიუროში არჩეულ იქნა 7 წევრი და 2 კანდიდატი. პლენუმმა საქ. კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. **პ. კორთხონჯია,** მეორე მდივნად—ამხ. **ლ. ნადარეიშვილი,** მესამე მდივნად—ამხ. **მ. ბარათელი.**

პრ. ჩაგანავა

ი. კოკრძაია საქ. კ. პ. (ბ) აბაშის საოლქო კომიტეტის მდივანი

ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის

XVIII პარტყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებისა და ამხანაგ სტალინის ბრძნული მითითებების ბოლშევიკურად განხორციელებისათვის ბრძოლის შედეგად აჭარის პარტორგანიზაცია თავის მორიგ კონფერენციაზე მოვიდა საკ. კ. პ. (ბ) ც. კომისა და ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** გარშემო მჭიდროდ დარაზმული.

აჭარის პარტორგანიზაცია 1940 წლის პირველი მარტისათვის თავის რიგებში ითვლიდა 5.399 კომუნისტს. საანგარიშო პერიოდში პარტიაში მიღებულია 4.176 კაცი, — პარტიის წევრებად 1.366, ხოლო კანდიდატებად — 2810 კაცი. ჩამოყალიბდა 83 ახალი პირველადი პარტორგანიზაცია. პარტიაში მიღებულთა შორის დაწყებითი სკოლის მასწავლებელია 186, აგრონომი — 88 ექიმი — 22, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე — 36, ინჟინერ-ტექნიკოსი — 61, ორდენოსანი — 6, მედალით დაჯილდოებული — 5. სსრ კავშირის, საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი — 24.

აჭარის ასსრ სამრეწველო საწარმოებმა 1939 წლის დავალებანი 104,8 პროცენტით შეასრულეს. ქვეყანას მისცეს 199 511.400 მანეთის მაღალხარისხოვანი პროდუქცია. 1939 წელს ინდუსტრიალიზაციაში შევიდა საკავშირო მნიშვნელობის ისეთი დიდი საწარმო, როგორიცაა ბათუმის ციტრუსკომბინატი, რომელმაც გასული წლის დავალება 141,7 პროცენტით შეასრულა.

სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების ურყევად გატარების საფუძველზე აჭარის ბოლშევიკებმა საკოლმეურნეო მშენებლობის განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. 1940 წლის იანვრისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებულია 17.459 მეურნეობა, ანუ გლეხური მოსახლეობის 95,8 პროცენტი.

კოლექტივიზაციის ზრდასთან ერთად ყოველწლიურად იზრდება მარტო 1939 წელს გაშენდა 2.098 ჰექტარი ციტრუსი, აქედან ლიმონი 1015 ჰექტარი. გასულ წელს დამზადდა 300 მილიონზე მეტი ციტრუსოვანი ნაყოფი, ე. ი. 100-ჯერ მეტი ვიდრე 1921 წელს, ხოლო 55 პროცენტით მეტი ვიდრე 1938 წელს.

ასეთივე მიღწევებია მოპოვებული ტუნგოს, ევკალიპტის, მებრილეობის განვითარების და თამბაქოს მოსავლის გადიდების საქმეში.

კოლმეურნეობებში გაძოელინდა მრავალი მოწინავე სტახანოველი. ქობულეთის რაიონის სტურუის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ამხ. ხატიჯე კაკაბაძე ჩაის კრეფის ყოველდღიურ ნორმებს 300 პროცენტით ასრულებდა. მან შარშან მოჰკრიფა 7.540 კილოგრამი ჩაი და გამოიმუშავა 709 შრომადღე. კიროვის სახელობის კოლმეურნეობის (ბათუმის რაიონი) სტახანოველი ხ. გორგილაძე ჩაის კრეფის ნორმებს 425 პროცენტით ასრულებდა. ქობულეთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი ი. მოწყობილი ჩაისა და ციტრუსების ნიადაგის მომზადების ყოველდღიურ ნორმას 208 პროცენტით ასრულებს და სხვ.

სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე სტახანოველმა ამხ. მართა ჩებანიუკმა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიღებული გამოცდილების ფართოდ გამოყენებით უზრუნველჰყო ჩაის მოსავლიანობის სარეკორდო მაჩვენებლების მიღება: 1939 წელს ჰექტარზე მოჰკრიფა 9.542 კილოგრამი ჩაი.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე 9 საბჭოთა მეურნეობა და 10 კოლმეურნეობა სასახელო მაჩვენებლებისათვის დაჯილდოებული არიან მთავარი საგამოფენო კომიტეტის მიერ. ოჩხამურის სტალინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააჯილდოვა „საპატიო ნიშნის“ ორდენით. ამავე დროს აჭარის სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები: გონიოს საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ა. ომერ-ოღლი, ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის სტახანოველი ბრიგადირი თ. დიხამინჯია, მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადირი ა. მახარაძე და სხვები დაჯილდოებული არიან დიდი და პატარა ოქროს მედალებით.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1939 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

1. ფარო კნიაზის-ძე **ალთევი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1932 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0709713 — კომუნისტების ერთი ორგანიზაციიდან მეორეში გადასვლაზე საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციის დარღვევისათვის, პარტიული ცხოვრებისაგან მოწყვეტისა და პარტსასწავლო წესის გადასახადის გადაუხდელობისათვის.

2. კონსტანტინე გიორგის-ძე **შაბურიშვილი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1507069 — 1936 წლიდან პარტსწავლო გადასახადის შეუტანლობისა და პარტიული ცხოვრებისაგან მოწყვეტისათვის.

3. იაკობ პახუს-ძე **ტყემაჩარა** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1931 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0713738—კოოპერატიული სახსრების — 1781 მანეთის გაფლანგვისათვის.

4. პეტრე იაკობის-ძე **მოლჩანოვი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1938 წლიდან, პარტბილეთი № 2845568 — თეორებთან სამსახურში ყოფნის დაფარვისათვის.

5. გიორგი ფილიპეს-ძე **

საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობისათვის

გადაჭრით გავაუმჯობესოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა

„...პარტია იმ დასკვნამდე მივიდა, —ამბობდა ამხანაგი სტალინი, — რომ ორგანიზაციათა დაწვრილებითეულება, მათი სიდიდის შემცირება საუკეთესო საშუალებაა, რათა პარტიულ ორგანიზაციებს გაუადვილდეს ამ ორგანიზაციებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა, ხოლო თვით ხელმძღვანელობა კონკრეტული, ცოცხალი და ოპერატიული გახდეს“.

ამხანაგ სტალინის ამ მითითების საფუძველზე 1939 წლის ივლისში საქართველოში შეიქმნა მთელი რიგი ახალი რაიონები. კერძოდ თბილისში ორი ახალი რაიონი—ამხ. ბერიას და ამხ. მოლოტოვის სახელობის რაიონები.

მოლოტოვის რაიონმა ჩამოყალიბების დღიდან ლენინის, სტალინის და 26 კომისრის სახ. რაიონებიდან მიიღო 88 პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომლებშიაც ირიცხებოდა პარტიის 1101 წევრი და წევრობის 510 კანდიდატი.

1939 წლის ივლისიდან 1940 წლის თებერვლამდე მოლოტოვის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიის წევრობის კანდიდატებად მიიღეს 324 კაცი, ხოლო წევრებად—330 კაცი. მიღებულ კანდიდატთა საერთო რაოდენობიდან 56 ამხანაგი წამყვანი პროფესიის მუშები არიან.

იყო შემთხვევები, როცა ზოგი პირველადი პარტორგანიზაცია გულისხმიერად არ ეკიდებოდა პარტიაში მიღების საქმეს. მაგალითად, თბილისის უნივერმაღის პირველადმა პარტორგანიზაციამ პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღო ა. ფილიევი. რაიკომში კი გამოირკვა, რომ ფილიევი ერთი წლის წინათ რელიგიის მსახური იყო. „ინსტრომის“ პირველადმა პარტორგანიზაციამ პარტიაში მიიღო დ. გვაზავა, რომელსაც მისჯილი ჰქონდა იძულებითი მუშაობა. ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის პარტორგანიზაციამ შეუმოწმებლად მიიღო პარტიაში ვინმე გ. ხაალიშვილი — მეფისა და მენშევიკური მთავრობის ყოფილი ოფიცერი.

საანგარიშო პერიოდში მოლოტოვის რაიონში შეიქმნა 27 ახალი პირველადი პარტორგანიზაცია, სულ კი არის 115 პირველადი პარტორგანიზაცია.

პარტიაში ახალ წევრთა მიღებით ძროდი მთავრდება მუშაობა. კანდიდატი მიღების დღიდან იწყებს ნამდვილი პარტიული სკოლის გავლას. ეს შეშმარიტება კარგად აქვთ შეთვისებული № 1 სამკერვალო ფაბრიკის, ფეხსაცმლის ფაბრიკის, წყალკანალტრესტის სახელოსნოს და სხვა პარტორგანიზაციებს, რომლებიც სერიოზულ მუშაობას ეწევიან კანდიდატთა ბოლშევიკური აღზრდისათვის. ისინი ხშირად იწვევენ პარტკანდიდატთა თათბირებს, აძლევენ მათ კონკრეტულ დავალებებს და ეხმარებიან ამ დავალებათა შესრულებაში.

მაგრამ ბევრი პირველადი პარტორგანიზაცია ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს პარტიის წევრობის კანდიდატებთან. მაგალითად, ფეხსაცმლის სამოდელო ფაბრიკის პირველადი პარტორგანიზაციის 23 კანდიდატს არავითარი პარტიული დავალება არა აქვს და პარტისტორიის შესწავლაშიაც ჩამორჩებიან. ისინი ჯერ კიდევ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის მეორე თავს სწავლობენ. ასეთივე ფაქტები სხვა პარტორგანიზაციაშიაც არის. რაიონის პარტიული ორგანიზაციები პარტიის წევრობის კანდიდატებთან სუსტად მუშაობენ, ამას ისიც ადასტურებს, რომ 228 კანდიდატი სტაჟგადაცილებულია.

აღნიშნული ფაქტები მოწმობენ, რომ პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობა გადაჭრით გაუმჯობესებას მოითხოვს.

რაიონის პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ მუშაობას ეწევიან კომუნისტების იდეურად აღზრდისათვის, მათი შეიარაღებისათვის ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრებით. 1310 კომუნისტი დამოუკიდებლად სწავლობს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“, 257 უპარტიო ინტელიგენტი დაუღალავად მუშაობს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია 67 ლექცია, 103 ინდივიდუალური და 17 ჯგუფური კონსულტაცია.

ცალკე კომუნისტები საკუთარ თავზე მუშაობის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან. მაგალითად, ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის დირექტორი, სამედიცინო მეცნიერებათა კანდიდატი კომუნისტი ამხ. ა. გზირიშვილი წარმატებით ეუფლება რევოლუციურ თეორიას. მთლიანად შეისწავლა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ სახელმძღვანელო და ამჟამად ისტორიის ცალკე თავებს სწავლობს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებათა მიხედვით. ასევე მუშაობენ თავის თავზე ამხ. კ. აბულაძე (ქიმიური ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი მუშაკი), სარქისოვი („საქენერგო“), კვანაძე (სახელგამი), მელაძე (მე-52 სკოლა), სიამაშვილი (მთავარი ფოსტა) და სხვ.

მთელი რიგი პირველადი პარტორგანიზაციები სუსტად ხელმძღვანელობენ პარტიული პროპაგანდის საქმეს, არ ეხმარებიან ცალკეულ კომუნისტებს თეორიული დონის ამაღლების საქმეში, არ აწყვეტენ ყურადღებას დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების თათბირებს, არ ატარებენ ლექციებსა და კონსულტაციებს.

რაიონის პარტიული ორგანიზაციების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გადაჭრით გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა პარტიული პროპაგანდისადმი, კონკრეტულად დაეხმარონ კომუნისტებს, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ ჩვენი პარტიის გმირულ ისტორიას.

XVIII პარტყრილობის მიერ მიღებულმა საკ. კ. პ. (ბ) წესდებამ საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადს პარტორგანიზაციებს მიანიჭა ადმინისტრაციის საქმიანობისათვის კონტროლის გაწევის უფლება. ჩვენი რაიონის ზოგი პირველადი პარტორგანიზაცია წარმატებით ახორციელებს წარმოებაზე კონტროლის უფლებას, ეჩენს ინიციატივას და საქმიანად ეხმარება ადმინისტრაციას. მაგალითად, № 1 სამკერვალო ფაბრიკის პარტორგანიზაცია თავის კრებაზე სისტემატურად იხილავს საწარმოო გეგმის შესრულების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს. პარტორგანიზაცია აწარმოებს კომუნისტების მობილიზაციას და იბრძვის მათი ავანგარდული როლის ამაღლებისათვის. ამის შედეგია ის, რომ ფაბრიკამ 1939 წლის საწარმოო გეგმა 113 პროცენტით შეასრულა.

მაგრამ ასეთი მდგომარეობა როდია მე-2 საკონდიტრო ფაბრიკაში. აქ პარტიული ორგანიზაცია ფორმალურად ანხორციელებს კონტროლს სამეურნეო საქმიანობისადმი. 1939 წლის განმავლობაში პარტიულ კრებაზე მხოლოდ ერთხელ მოისმინეს დირექტორის მოხსენება გეგმის შესრულების შესახებ, რომლის გამო პრაქტიკული ღონისძიებანიც არ დასახეს.

ასეთივე არა სასურველი ფაქტებია სატრიკოტაჟო წარმოების, წყალკანალტრესტის სახელოსნოს და ორჯონიკიძის სახ. ქარხნის ჩამომსხმელო საამქროს პარტორგანიზაციებში.

ჩვენ შევამოწმეთ და რაიკომის ბიუროზე განვიხილეთ საკითხი—ორჯონიკიძის სახელობის ქარხანასა და ქვის საჭრელ ფაბრიკაში როგორ ხორციელდება პარტიული კონტროლი წარმოებაზე. გამოირკვა, რომ აღნიშნულ ორგანიზაციებს ამ მხრივ სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ. რაიკომის ბიურომ მათს გამოსასწორებლად დასახა კონკრეტული ღონისძიებანი. ამ ღონისძიებათა შესრულების შემოწმების თვალსაზრისით მოვიწვიეთ საწარმოთა პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებს თათბირი, სადაც მათ ფართოდ განემარტათ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სამეურნეო საქმიანობასთან სწორად შეთავსების საკითხი.

რაიკომის სამხედრო განყოფილების შექმნამ ხელი შეუწყო რაიონში თავდაცვითი მუშაობის გაძლიერებას.

უნდა აღინიშნოს, რომ თბილუნივერმაღის, ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის, თბილელექტროცენტრალის მშენებლობის, არტელ „ქიმკოოპის“ და სხვა პირველადი პარტორგანიზაციები სუსტად ხელმძღვანელობენ თავდაცვითი მუშაობას.

ამ დღეებში ჩატარებულმა პირველადი პარტორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა და რაიონულმა კონფერენციამ გვიჩვენეს კომუნისტთა მაღალი იდეურობა და პოლიტიკური აქტივობა. კომუნისტებმა, ოლაპარაკეს რა რაიონის პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ მიღწევებზე, ყურადღება გაამახვილეს ნაკლოვანებებზე და წამოაყენეს საქმიანი პრაქტიკული ღონისძიებანი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისათვის, საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა მტკიცედ განხორციელებისათვის.

რაიონის ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში არჩეულ იქნენ შემოწმებული, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის უსაზღვროდ ერთგული ადამიანები. ეჭვი არ არის, ჩვენი რაიონი, რომელიც უდიდესი სიამაყის გრძნობით ატარებს მძღოლის საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ **ვ. მ. მოლოტოვის** სახელს, დაუღალავად იბრძოლებს პარტიის დირექტივებისა და დიდი **სტალინის** ბრძნულ მითითებათა განუხრელად გატარებისათვის.

ვ. გასრსევანიძე

საკ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის სახელობის რაიკომის მდივანი.

XVIII პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში

ფოთის პარტიულმა ორგანიზაციებმა არა პარტიულ ბოლშევიკებთან ერთად მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ისტორიული XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა და მითითებათა რეალიზაციისათვის, მთელი თავისი მუშაობის ამ გადაწყვეტილებათა საფუძველზე გარდაქმნისა და ორგანიზაციისათვის. ხელმძღვანელობთ რა ამხანაგ **სტალინის** მითითებით იმის შესახებ, რომ „სისტემატურად გავაუმჯობესოთ პარტიის მუშაობა, ავამაღლოთ პარტიის წევრთა შემადგენლობის დონე და ინდივიდუალური შერჩევის წესით მივიღოთ პარტიის რიგებში მხოლოდ შემოწმებული და კომუნიზმის საქმისათვის ერთგული ადამიანები“, — ჩვენი პარტიის რიგების უღირსთაგან გაწმენდასთან ერთად, ძირითადად სწორად მოვაწყეთ ორგანიზაციის ზრდა მოწინავე მუშების, კოლმეურნეების და ინტელიგენციის ხარჯზე.

XVIII პარტიული ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში პარტიის წევრად მივიღეთ 284 კაცი, ხოლო პარტიის წევრობის კანდიდატად — 579 კაცი. პარტიაში ახლად მიღებულთა შორის 175 ქალაა და 388 კომკავშრომელი.

ფოთის პარტიული ორგანიზაციების უმეტესობამ სწორად გაიგეს, რომ პარტიის წესდებაში XVIII ყრილობის მიერ შეტანილი ცვლილებები კი არ ამცირებს, არამედ კიდევ უფრო ზრდის პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობას პარტიაში მისაღებთა ინდივიდუალურად შერჩევის საქმეში.

ამის შედეგია, რომ ჩვენი ორგანიზაცია გაიზარდა შემოწმებულ და მოწინავე ადამიანებით. ამის შედეგია, რომ ახლად მიღებულთა შორის მრავლად არიან ისეთები, რომლებმაც თავი ისახელეს მშენებლობის სხვადასხვა ფრონტზე, ასეთებია ამხ. ხ. ლიასიაკი—გემთშემკეთებელი ქარხნის ტექნიკური კონსტრუქტორი, საპატიო ნიშნის ორდენით დაჯილდოებული, აკაკი სიჭინავა—სოფლის მასწავლებელი მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ დაჯილდოებული, გაბელაია და ტ. ნოდია რკინიგზის სტახანოველები, რომლებიც გეგმებს 200-300 პროცენტით ასრულებენ და სხვ.

პარტიაში ახლად მიღებულთაგან მრავალი დავაწინაურეთ სხვადასხვა საპასუხისმგებლო სამუშაოზე. პარტიის წევრობის კანდიდატი ექიმი ნიკოლოზ ჯანდიერი დაწინაურებულ იქნა საავადმყოფოს გამგედ. გარდა იმისა, რომ ის ამ მოვალეობას სანიმუშოდ ასრულებს, ჯანმრთელობის დარგში სანიმუშო აგიტატორადაც ითვლება.

პარტიის წევრობის კანდიდატი თამარ გრიგოლია, რომელიც რიგითი მასწავლებლობიდან დაწინაურებულია პედსასწავლებლის დირექტორად სასკოლო მუშაობის კარგად დაყენებასთან ერთად აგიტკოლექტივის სანიმუშო ხელმძღვანელია და ქალაქკომის შტატგარეშე ლექტორის მოვალეობის შესრულებაში დიდი ავტორიტეტი დაიმსახურა.

ახლად მიღებული სტახანოველი კოლმეურნე აბიბო მირცხულავა სოფსაბჭოს აღმასკომის წევრად და აღმასკომის მდივნადაა არჩეული. ახლად მიღებული ლავრენტი ბახტაძე იყო რიგითი მუშა, დაწინაურებულია „ელინგის“ (გემების ზღვიდან სარემონტოდ ამოყვანის და რემონტგაკეთებული გემების ზღვაში ჩაშვების ადგილი) გამგის მოადგილედ, მისი საამქრო გეგმას 200-ზე მეტი პროცენტით ასრულებს.

ახლად მიღებულთა შორის ჩატარებულ სერიოზულ მუშაობას მოწმობს ისიც, რომ ხელმძღვანელ პარტორგანოების ახლახან ჩატარებული არჩევნების შედეგად ამ ორგანოებში არჩეულ 216 ამხანაგიდან პარტიაში ახლად მიღებული 53 კომუნისტი პირველადაა არჩეული.

პარტიაში მიღებულთა შორის მუშაობის დარგში დადებითი მაგალითები გვიჩვენებს განათლების დარგის (მდივანი ს. ჯიმშერიანი), ნავსადგურის (მდივანი გრ. ბოლქვაძე), რკინიგზის კვანძის (მდივანი გ. ახალაძე) და სხვა პირველადი ორგანიზაციებმა.

სერიოზული მუშაობა ჩატარდა საერთოდ კადრების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, რადგან, როგორც ამხანაგი **სტალინი** მიუთითებდა XVIII პარტიულ ყრილობაზე დანარჩენ ფრონტებზე წარმატებები დამოკიდებულია ამ მუშაობაზე. გვჭონდა რა ხელთ ჩვენი პარტიის გმირულ ბრძოლების ისტორიის სტალინური სახელმძღვანელო, მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად ცოდნათა ენციკლოპედია და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილება, ფოთის პარტიულმა ორგანიზაციამ მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი გაატარა პროპაგანდისტული მუშაობის გარდაქმნისა და კადრების მარქსისტულად აღზრდისათვის. XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. სერიოზულად მოვკიდეთ ხელი მუშაობას იმისათვის, რომ გაგვემტკიცებინა კადრებში რწმენა ბოლშევიზმის დამოუკიდებლად შესწავლის შესაძლებლობისა და ბოლო მოგვეღო ინტელიგენციაში პოლიტიკური მუშაობის იმ შეუფასებლობისათვის, რაც სამართლიანად იყო გაკიცხული საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1938 წ. 14 ნოემბრის ცნობილ დადგენილებაში. ამის შედეგად კადრების ძირითადმა მასამ ხელი მოჰკიდა ლენინ-სტალინის პარტიის გმირული ისტორიის შესწავლას.

ჩვენ მოვაწყვეთ 372 ლექცია (35914 დამსწრე), 193 ჯგუფური კონსულტაცია (5469 დამსწრე), 316 ინდივიდუალური კონსულტაცია და 14 თეორიული კონფერენცია (3400 დამსწრე). არსებითად გაუმჯობესდა ლექციების ხარისხი ასეთ ღონისძიებათა გატარებით, როგორიც არის ლექციების დაწერა და ლექტორთა ჯგუფში ამ ლექციების წინასწარ განხილვა, წინადადებათა შეგროვების ორგანიზაცია ყოველ ლექციაზე და ლექციების თემატიკის შეფარდება კადრების მოთხოვნილებასთან, ლექციების პერიოდულად განხილვა ქალაქკომის ბიუროზე და სხვ. თეორიულმა კონფერენციებმა ცხოველი ინტერესი გამოიწვიეს ჩვენს მუშაკებში.

აღიზარდნენ ახალი ადამიანები, ახალი კადრები, პარტ. კომკავშირის ორგანიზაციაში 400 მოწინავე სტახანოველი ირიცხება, ხოლო პარტიის საქალაქო კომიტეტს ამჟამად ყავს 80-ზე მეტი დაწინაურებული რეზერვი, რომელთანაც სწარმოებს ყოველდღიური სისტემატური მუშაობა.

ფოთი სწრაფი ტემპით იზრდება კულტურულად და ეკონომიურად. ფოთის მშრომელებს ამჟამად მომსახურებას უწევს 22 სკოლა, მათ შორის 7 საშუალო და 3 ტექნიკუმი 200-ზე მეტი მასწავლებლით. არის აგრეთვე საბავშვო ბაღები და ბაგების ფართო ქსელი, 48 ექიმი და სახალხო ჯანმრთელობის დაცვის კარგად მოწყობილი ქსელი.

ჩვენ მოვაწყვეთ 372 ლექცია (35914 დამსწრე), 193 ჯგუფური კონსულტაცია (5469 დამსწრე), 316 ინდივიდუალური კონსულტაცია და 14 თეორიული კონფერენცია (3400 დამსწრე). არსებითად გაუმჯობესდა ლექციების ხარისხი ასეთ ღონისძიებათა გატარებით, როგორიც არის ლექციების დაწერა და ლექტორთა ჯგუფში ამ ლექციების წინასწარ განხილვა, წინადადებათა შეგროვების ორგანიზაცია ყოველ ლექციაზე და ლექციების თემატიკის შეფარდება კადრების მოთხოვნილებასთან, ლექციების პერიოდულად განხილვა ქალაქკომის ბიუროზე და სხვ. თეორიულმა კონფერენციებმა ცხოველი ინტერესი გამოიწვიეს ჩვენს მუშაკებში.

ახლა ფოთის ბოლშევიკების მთავარი საბრძოლო ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დავიცვათ ციტრუსები უკვე გაშენებულ 271 ჰექტარზე და შრომითი მონაწილეობა მივიღოთ ჯოხიდის ჭაობების დაშრობაში. მომდინარე წლის ბოლომდე ფოთის მშრომელთა მიერ ჯოხიდაში გადაწყვეტილია 160.000 მანეთად შეფასებული სამუშაოების შესრულება.

აქვე საჭიროა აღინიშნოთ, რომ ჩვენში — საქართველოში და განსაკუთრებით კი კოლხიდის დაბლობის მახლობელ რაიონებში არის ყოველგვარი შესაძლებლობა ფართოდ და დიდი ეფექტურობით გამოვიყენოთ ფერგანელთა გამოცდილება. საამისოდ ჩვენ უკვე გავშალეთ მასობრივი აგიტაცია და ზოგი რამ კიდეც გავაკეთეთ, მაგრამ საჭიროა ამ მხრივ მუშაობის ფარგლები გაეშალა კოლხიდის მახლობელ სხვა რაიონების მოსახლეობაშიც.

საჭიროა აგრეთვე ფართოდ დავსვათ საკითხი ქალაქების მშრომელთა ინიციატივის გამოყენებისა სატრაქტორო კურორტებისა და დასასვენებელი ადგილების კეთილმოსაწყობად. ამ ინიციატივის გამოყენების საშუალებით ვფიქრობთ ჩვენ კურორტ მალთაყვას კეთილმოწყობას და გაშენებას.

ფოთის ბოლშევიკებმა შეუნელებლად იბრძვიან იმისათვის, რომ ღირსეულად შეასრულონ ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** მითითება, რათა „ქალაქში ფოთმა, მთელმა კოლხიდამ განასახიეროს დიდი ბელადის—ამხანაგ სტალინის მითითებათა შესრულება და გახდეს ბელადის შენაძენის ღირსი“. (ლ. ბერია).

ჩვენი ამოცანაა მუშაობის ისე წარმართვა, რომ ფოთის ერთერთი გადამწყვეტი როლი მიეკუთვნოს საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხანაგი ჩარკვიანის მიერ XVIII ყრილობაზე მოცემულ პირობის შესრულებაში — მესამე ხუთწლედის ბოლოს საბჭოთა ქვეყნის მშრომელთათვის 850-900 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფის მიცემის შესახებ.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის დადგენილებით და ამხანაგ **სტალინის** მიერ მოცემულ მითითებებით შეიარაღებულნი ჩვენ ამ ამოცანებს პირნათლად შევასრულებთ.

ნ. გაბუნია

საქ. კ. პ. (ბ) ფოთის ქალაქკომის მდივანი.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობის დელეგატთა ჯგუფი სტალინის სახელობის ორთქლმავალ – ვაგონ-სარემონტო ქარხნიდან (მარცხნიდან): სხედან—დ. ჭოჭუაძე — ქარხნის უფროსი, მ. გეწაძე— სტახანოველი მექვაბე; დგანან — მ. ჯუჯღავა — პარტკომის მდივანი, ი. დევხურაშვილი — სტახანოველი.

ფოტო რ. აკოფოვისა

კ. თარგამაძე

საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საბეგმო კომისიის თავმჯდომარე

უმნიშვნელოვანესი ეკონომიური ამოცანა

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარება განუწყვეტელ ალმავლობას განიცდის. პირველი და მეორე სტალინური ხუთწლედების ბრწყინვალე შედეგებმა უზრუნველყო ჩვენი მრეწველობისა და მიწათმოქმედების ახალი ტექნიკით შეიარაღება. ქალაქად შეიქმნა მრეწველობის სრულიად ახალი დარგები და სოფლის მეურნეობაში საბოლოოდ განმტკიცდნენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

შრომის ნაყოფიერება მეორე ხუთწლედში 82 პროცენტით გაიზარდა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 63 პროცენტისა. შეიქმნა ახალი საწარმოო-ტექნიკური კადრები, აღიზარდნენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სტახანოველები.

სსრ კავშირი მესამე ხუთწლედით შევიდა ახალ ხანაში. უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ხანაში. დიდმა **სტალინმა** საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ჩვენი ქვეყნის წინაშე მთელი სიმკვეთრით დააყენა ამოცანა — ეკონომიურად დავეწიოთ და გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში.

„მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს, — სთქვა ამხანაგ სტალინმა XVIII ყრილობაზე, — ჩვენ გავუსწარით წარმოების ტექნიკისა და მრეწველობის განვითარების ტემპების მხრივ. ეს ძალიან კარგია. მაგრამ ეს ცოტაა. საჭიროა გავუსწროთ მათ ავრეთვე ეკონომიურადაც. ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება, და კიდეც უნდა გავაკეთოთ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიურად გავუსწრებთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს, შეგვიძლია ჩვენ იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი ქვეყანა სულ სავსე იქნება მოხმარების საგნებით, ჩვენ გვექნება პროდუქტების სიუხვე. და მისაძლებლობა მოგვეცემა კომუნიზმის პირველი ფაზიდან გადავიდეთ მის მეორე ფაზაში“.

ამ მითითების შესაბამისად მესამე ხუთწლიანი გეგმით სსრ კავშირის სამრეწველო პროდუქციის ზრდა ნავარაუდევია 92 პროცენტით, ამავე დროს საშუალო წლიური ტემპი დაწესებულია 14 პროცენტის რაოდენობით, აქედან საწარმოო საშუალებათა წარმოება 107 პროცენტით უნდა გაიზარდოს, ხოლო მოხმარების საგნებისა—72 პროცენტით.

მესამე სტალინური ხუთწლედის განვლილი პირველი ორი წლის წარმატებებმა სავსებით დაადასტურა ჩვენი სოციალისტური ქვეყნის მზადყოფნა და დიდი შესაძლებლობანი გეგმით გათვალისწინებული ამოცანების დროულად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მესამე სტალინური ხუთწლედის მეორე წლის საწარმოო პროგრამა საქართველოს საკავშირო-რესპუბლიკურმა, რესპუბლიკურმა და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებმა 5,8 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულეს. საქართველოს სსრ მრეწველობის პროდუქცია 1939 წელს 18,6 პროცენტით აღემატება 1938 წლისას.

სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების საფუძველზე კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებამ, საკოლმეურნეო მოძრაობის შეუნელებელმა ზრდამ განსაკუთრებული პირობები შეუქმნეს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ მძლავრ აღმავლობას.

წინასწარი მონაცემებით 1939 წელს ციტრუსოვანი ნარგავების გაშენების გეგმა შესრულებულია 109,5 პროცენტით, ტუნგოსი—102,5-ით, სუბტროპიკული ხეხილისა (ყვითელი ხურმა და ფეიხოა)—115,5-ით, ხეხილის ბაღებისა—102,6 პროცენტი და სხვ. გასულ წელს ტექნიკური კულტურები დაითესა 50,3 ათას ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 48,4 ათასი ჰექტარისა.

მუშა და პროდუქტიული პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებში 1940 წლის პირველი იანვრისათვის აღემატებოდა 1939 წლის გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობას.

1939 წლის კაპიტალურ დაბანდებათა შედეგად საგრძნობლად გაიზარდა საწარმოო სიმძლავრენი, მრეწველობის ცალკეულ დარგებში. კვების მრეწველობის სახ. კომისარიატის ხაზით ჩაის ფაბრიკების სიმძლავრე მწვანე ფოთლის გადამუშავებლად 8.100 ტონით გაიზარდა; საბინაო ფონდი იმავე სახ. კომისარიატის ტრესტების — „საქჩაის“ და ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ხაზით 12.380 კვადრატული მეტრით გაიზარდა.

საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახ. კომისარიატმა უზრუნველჰყო ახმეტის ქარხნის პირველი რიგის სამუშაოთა დამთავრება და არსებული სახერხი ქარხნების სიმძლავრე 15 ათასი კუბური მეტრით გაადიდა.

კომუნალური მშენებლობის ხაზით დამთავრდა წყალსადენების მშენებლობა სარევანში, დიდ-ლილოში, ამბროლაურში, ცხაკაიაში, ჩხოტაფონში. 1939 წელს ქალაქად აიგო 9 სკოლა და სოფლად 84.

საქართველოს სსრ მესამე ხუთწლიანი გეგმის პროექტი ხუთწლედის მიხედვით ითვალისწინებს საკავშირო-რესპუბლიკური, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოთა პროდუქციის ზრდას 79 პროცენტით, ხოლო საშუალო წლიურ ნამატს — 11 პროცენტით. 1940 წელს, 1939 წლის გეგმასთან შედარებით, საერთო პროდუქციის ზრდა ამავე დაქვემდებარების საწარმოთა ხაზით 14,1 პროცენტს უდრის.

მრეწველობის ცალკეული დარგების მიხედვით პროდუქციის ზრდა 1940 წელს 1939 წლის გეგმასთან შედარებით შემდეგი მაჩვენებლებით არის გათვალისწინებული: კვების მრეწველობაში — 18,4 პროცენტით, ხორცისა და რძის მრეწველობაში — 3,1-ით, მსუბუქ მრეწველობაში—7,4-ით, საფეიქრო მრეწველობაში — 13,8-ით, ადგილობრივ მრეწველობაში —10,7-ით. სატყეო მრეწველობაში — 11,1-ით. სამშენებლო მასალათა მრეწველობაში 28,9 პროცენტით.

არასამრეწველო სახ. კომისარიატებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრეწველობა 1940 წელს გამოუშვებს 13,7 პროცენტით მეტ პროდუქციას, ვიდრე ფაქტიურად 1939 წელს იყო გამოშვებული.

მთლიანად სამრეწველო პროდუქცია 1940 წელს 1939 წლის გეგმის შესრულებასთან შედარებით 9,5 პროცენტით დიდდება. სარეწაო კოოპერაციის საერთო პროდუქცია 1939 წლის გეგმის შესრულებასთან შედარებით იზრდება 14,5 პროცენტით, ხოლო 1939 წლის გეგმასთან შედარებით — 47,6 პროცენტით.

1940 წლის გეგმაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფართო მოხმარების საგნების წარმოებას. ფართო მოხმარების საგნების გამოშვება 1940 წელს, 1939 წელთან შედარებით, იზრდება 15 პროცენტით და მეტადაც.

სოფლის მეურნეობაში ტექნიკური კულტურების ფართობი 1940 წელს მიაღწევს 49,24 ათას ჰექტარს, აქედან კოლმეურნეობების ხვედრები შეადგენს 48,6 ათას ჰექტარს.

1940 წელს ჩაის პლანტაცია გაშენდება 2.900 ჰექტარზე. ამასთან ერთად უნდა გაიზარდოს ჩაის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 2.250 კილოგრამამდე. წელს გათვალისწინებულია ციტრუსოვანი კულტურების გაშენება 6.500 ჰექტარის რაოდენობით.

1940 წელს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ სწორად და დროულად გატარდეს აგროტექნიკური ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველჰყოფენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების რაოდენობრივ და ხარისხობრივ ზრდას. გათვალისწინებულია 22 ათასი ტონა აზოტოვანი მინერალური სასუქების შემოტანა და 1.500 ათასი ტონა ორგანიული სასუქების გამოყენება.

საცალო საქონელბრუნვა 1940 წლის გეგმით, 1939 წელთან შედარებით, 18 პროცენტით იზრდება. სტაციონარული სავაჭრო საცალო ქსელი 1941 წლის დამდეგისათვის ვაჭრობის სახ. კომისარიატისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით მიაღწევს 5.848 წერტს, ხოლო საზოგადებრივი კვების მთელი ქსელი აყვანილი იქნება 1.100 წერტამდე.

1940 წლის კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა საქართველოში საკავშირო-რესპუბლიკური, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების ობიექტების მიხედვით განისაზღვრება 91.420 ათასი მანეთით. აქედან სამრეწველო მშენებლობას მოხმარდება მთელი დაბანდების 26,9 პროცენტი, სოფლის მეურნეობას—4,8, საბინაო მშენებლობას—14, სოკულტურულ მშენებლობას—12,8, ჯანმრთელობას—10,3, კომუნალურ მეურნეობას—16,7, სავაჭრო ქსელის მშენებლობას—4,5 პროცენტი და სხვ.

1940 წელს გათვალისწინებულია ტალკის ქარხნის მშენებლობის დამთავრება, ჩაის ფაბრიკებისა და ჩაის საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა საბინაო ფონდის გადიდება 12.800 კვადრატული მეტრის რაოდენობით. თბილისის ხორკომბინატთან მოეწყობა საძეხვე საამქრო, რომელიც დღე-ღამეში 12 ტონა პროდუქციას გამოუშვებს.

სოფლის მეურნეობაში 1940 წელს დიდი მოცულობით ხასიათდება წყალთა მეურნეობის სამუშაოები, რაც უზრუნველჰყოფს სარწყავი ფართობის აყვანას 1.800 ჰექტარამდე, ხოლო დასაშრობს — 550 ჰექტარამდე.

ადგილობრივი საბჭოების საბინაო მშენებლობის დარგში მიმდინარე წელს ეწესლოტაციაში შევა 12.593 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, აქედან ქალაქ თბილისში —7.420 კვადრატული მეტრი.

მესამე სტალინური ხუთწლედისა და მიმდინარე წლის სამეურნეო ამოცანების განხორციელებისათვის საჭიროა საწარმოების სამეურნეო ხელმძღვანელობის ოპერატიულობა, საწარმო კადრების ხელფასის სწორი ორგანიზაცია და სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლა. პრომის დისციპლინის მტკიცედ დაცვა და სოციალისტური შრომის მაღალი ნაყოფიერების უზრუნველყოფა ყველა საწარმო-დაწესებულებაში.

„...საჭიროა დრო, — ამბობდა ამხანაგი სტალინი პარტიის XVIII ყრილობაზე, — და არცთუ მცირე დრო, იმისათვის, რომ ეკონომიურად გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს. და რამდენადაც უფრო მაღალი იქნება ჩვენში შრომის ნაყოფიერება, რამდენადაც უფრო გაუმჯობესდება ჩვენში წარმოების ტექნიკა, მით უფრო მალე შეგვე

უცხოეთის პრესის გამოხმაურება სსრ კავშირსა და ფინეთს შორის საზავო ხელშეკრულების დადების გამო

გერმანია

ბერლინი, 14 მარტი (საკდესი). დილის ყველა გაზეთის ყურადღების ცენტრში არის საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის დადებული საზავო ხელშეკრულება. გაზეთმა „ფელკიშერ ბეობახტერმა“ დაბეჭდა საზავო ხელშეკრულების სრული ტექსტი, ფინეთის გეოგრაფიული რუკა, სადაც აღნიშნულია ფინეთის ახალი აღმოსავლეთის საზღვარი და საზავო ხელშეკრულებისადმი მიძღვნილი მოწინავე სტატია. მან მოათავსა აგრეთვე შინაარსი გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატიისა — „საზავო ხელშეკრულება სსრ კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის“ და ამხანაგ მოლოტოვისა და ამხანაგ ჟდანოვის პორტრეტები.

„ფრანკფურტერ ცაიტუნგი“ მოწინავეში სწერს, რომ მთელ ფრონტზე დადუმდა ქვემეხები და აღდგენილია მშვიდობიანობა. „მოსკოვში ზავისათვის ხელის მოწერის ამბავს, — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, — კმაყოფილებითა და სიხარულის გრძნობით შეხვდნენ ყველა ქვეყანაში“.

ყველა გაზეთი ათავსებს მსოფლიო პრესის მრავალ გამოხმაურებას სსრ კავშირსა და ფინეთს შორის ზავის ჩამოგდების გამო.

ლიტვა

კაუნასი, 14 მარტი (საკდესი). გუშინ და დღეს ლიტვის დედაქალაქში არაჩვეულებრივი გამოცოცხლება ეტყობოდა. ყველა სიხარულს გამოთქვამს იმის გამო, რომ სსრ კავშირსა და ფინეთს შორის საზავო ხელშეკრულება დაიდო. ლიტვური დილისა და დღის გაზეთები აქვეყნებენ სტატიებს, სადაც დადებითად აფასებენ საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზავო ხელშეკრულებას. ყველა გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის წარმატებას.

გაზეთი „ლიეტუვოს აიდასი“ მოათავსა ამხანაგ მოლოტოვის, ამხანაგ ვოროშილოვისა და ამხანაგ ჟდანოვის პორტრეტები და მთლიანად გამოაქვეყნა „პრავდის“ მოწინავე სტატია.

გაზეთმა „ლიეტუვოს ჟინიოსმა“ პირველ გვერდზე მოათავსა ფინეთის დიდი რუკა, სადაც აღნიშნულია ახალი სახელმწიფო საზღვრები.

„ახლა უკვე აღდგენილია მშვიდობიანობა ევროპის ჩრდილოეთში, — სწერს გაზეთი „ლაიკასი“, — ჩვენ, ბალტიისპირა ქვეყნებს, შეგვიძლია მხოლოდ მივესალმოთ მას. მას უნდა მიესალმოს აგრეთვე სკანდინავიაც, რომელიც ახლა გადარჩა იმის შესაძლებლობას, რომ სასტიკ ომში ჩაებათ. ჩვენ სიხარული გვმართებს“.

ესტონეთი

ტალინი, 14 მარტი (საკდესი). ესტონური გაზეთები აქვეყნებენ საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის დადებული საზავო ხელშეკრულების ტექსტს, „პრავდის“ მოწინავე სტატიას და სხვა მასალებს. გაზეთ „უუსესტში“, „პოსტიმეესში“ და „რახვალეხტში“ მოთავსებულია ფინეთის რუკა, სადაც აღნიშნულია ახალი სახელმწიფო საზღვრები. გაზეთები აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირსა და ფინეთს შორის დადებული საზავო ხელშეკრულება გვიმტკიცებს, რომ ეს სიმართლე იყო“. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ევროპის ჩრდილოეთში მშვიდობიანობის დამყარებას დიდი შედეგი მოჰყვება ევროპის საერთო მდგომარეობისათვის.

ლატვია

რიგა, 14 მარტი (საკდესი). იტალიის მთელი პრესა დიდრონი სათაურებით ათავსებს ცნობებს სსრ კავშირსა და ფინეთს შორის საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ. გაზეთებმა მთლიანად გამოაქვეყნეს საკდესის დეპეშა ხელშეკრულებისა და მასთან დართული ოქმის ტექსტითურთ. ამავე დროს პრესამ ამ ამბავს მიუძღვნა ვრცელი სტატიები, რომლებშიაც ხაზგასმით უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ომის მდგომარეობის გაუქმების შესახებ.



ვიბორგი. ცდი სანაპიროზე. ფოტორეპროდუქცია რ. აკოფოვისა.

საბჭოთა ვიბორგში

ვიბორგი, 14 მარტი (საკდესი). ვიბორგი ციხე-ქალაქი, რომელსაც გარს არტყია გრანიტის ბოძკინტები, ტანკსაწინააღმდეგო თხრილები, მავთულხლართი და უზარმაზარი სამმწკრივი ნაღმიანი ღობეები, ეერიმით აღიქმება წითელი არმიის მამაცმა მეომრებმა. ბრძოლა დამთავრდა. ვიბორგი ჩვენი, საბჭოთა ვიბორგია! დიდი ფაბრიკის ეზო ხალხითაა გაჭედილი. უფროსი პოლიტხელი ამბ. ბელოუსოვი ხსნის მიტინგს.

პირველად სიტყვას ამბობს კაპიტანი ჩაიკო. ის წინ უძღოდა მებრძოლთ, რომელნიც პირველნი შეესივნენ ქალაქში. მისი სიტყვა მოკლეა.

— მებრძოლო ამხანაგებო! — ამბობს იგი. — ხელმოწერილია საბჭოთა კავშირისა და ფინეთის საზავო ხელშეკრულება. ჩვენმა სამშვიდობო პოლიტიკამ ახალი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ჩვენი ჩრდილო - დასავლეთ საზღვრების უშიშროება, სოციალისტური რევოლუციის აკვნის — ლენინის ქალაქის უშიშროება უზრუნველყოფილია. ჩვენ შევასრულეთ სამშობლოს საბრძოლო დავალება. წითელმა არმიამ, საბჭოთა ხალხის ხორცმა და სისხლმა, ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ იგი სოციალიზმის ქვეყნის ერთგული დარაჯია.

ამბ. ჩაიკომ თავისი სიტყვა იმით დაამთავრა, რომ ჯანმრთელობა უსურვა წითელი არმიის გმირებს, დიდ სტალინს, რომლის სახელით აღფრთოვანებული წითელი მეომრები იბრძოდნენ და იმარჯვებდნენ.

ამ სიტყვის საპასუხოდ მებრძოლებმა ხმამაღალი „ვაშა“ შესძახეს!

ვიბორგის ჭურჭებსა და მოედნებზე კიდევ დიდხანს გრიალებს ძლიერი „ვაშა“. მიტინგები სხვა ქვედანაყოფებშიც იმართება.

ვიბორგი

(ცნობა)

სსრ კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის დადებული საზავო ხელშეკრულების თანახმად, ქალაქი ვიბორგი საბჭოთა კავშირის ტერიტორიის შემადგენლობაში ექცევა.

ვიბორგი (ფინურად — ვიპური) მდებარეობს კარელიის ყელზე ვიბორგის ყურის სილრმეში, რომელიც ფინეთის ყურის განშტოებას წარმოადგენს. ვიბორგს კარგად დაცული ბუნებრივი ნავსადგური აქვს, იგი დიდი სატრანსპორტო კვანძია და ფინეთის ყურეში ხელსაყრელი მდგომარეობა უკავია. იგი მდებარეობს ფინეთის ერთერთი უდიდესი არხის გამოსასვლელთან, რაც ფინეთის ყურეს აკავშირებს საიმის ტბასთან, რომლის აუზიც ფინეთის უმნიშვნელოვანესი სატყეო-სამრეწველო რაიონია. ზღვითა და საიმის არხით სანაოსნო გზების გარდა, ვიბორგისაკენ სხვადასხვა მხრიდან მიდის ხუთი რკინიგზა და შვიდი გზატკეცილი. ქალაქის დასავლეთისაკენ რკინიგზა მიდის ჰელსინკში (ფინეთის დედაქალაქი), ჩრდილო-აღმოსავლეთით რკინიგზა მიდის ფინური კარელიის ცენტრისაკენ — სერდობოლისაკენ, რომელიც ლადოგის ტბის ჩრდილოეთ ნაპირზე მდებარეობს და რომელიც, საზავო ხელშეკრულების თანახმად, აგრეთვე სსრ კავშირის ტერიტორიის შემადგენლობაში მოექცა. ვიბორგიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით რკინიგზა მიდის ქალაქ ტერიოკში და შემდეგ ლენინგრადში.

ვიბორგი ფინეთის ხე-ტყის გაზიდვის ძირითადი ცენტრია. რაც შეეხება ქალაქის მრეწველობას, იგი დიდ როლს არ ასრულებს. თუმცა აქ არის ხე-ტყის სახერხი ქარხნები, გემსაშენები, მექანიკური, სამსმელო და ელექტროტექნიკური ქარხნები, თამბაქოს ფაბრიკა და მთელი რიგი სხვა საწარმოები.

ვიბორგის მიდამოებში მრავალი ხისდამამუშავებელი ქარხანაა. გარდა ამისა, ეს რაიონი სოფლის მეურნეობასა და მერქეობის ცენტრიც არის.

ვიბორგის მახლობლად იწყებოდა ძირითადი სამხედრო ციხე-სიმაგრენი — ევრეთწოდებული მანერჰაიმის ხაზი, რომელიც მთელ კარელიის ყელს გადაჰკეთდა. თვით ქალაქის გარშემო შექმნილი იყო ძლიერ გამაგრებული რაიონი.

ვიბორგი ძველი ქალაქია. დაარსებული იქნა შვედების მიერ 1293 წელს როგორც დასაყრდენი პუნქტი რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად. 1710 წელს ეს ქალაქი პეტრე I-ლის ჯარმა დაიკავა და შემდეგ მოსაზღვრე ტერიტორიებითურთ რუსეთს გადაეცა. 1812 წელს რუსეთთან მთელი ფინეთის შეერთების შემდეგ ვიბორგი კვლავ ფინეთს შეუერთდა.

ფინეთის რესპუბლიკის შექმნამდე ვიბორგი ნელ-ნელა იზრდებოდა და სიდიდითა და მნიშვნელობით ფინეთის მრავალ სხვა ქალაქს ჩამორჩებოდა. ფინეთის მეორე ქალაქად ვიბორგი მხოლოდ უკანასკნელ წლებში იქცა იმასთან დაკავშირებით, რომ იგი გახდა მერჩნის, ცელულოზისა და ქაღალდის გაზიდვის მთავარი ნავსადგური და აგრეთვე მთავარი ნავსადგური და სამხედრო ცენტრიც. ვიბორგის მოსახლეობა 82.000 კაცს შეადგენს.

ახლა, როდესაც ვიბორგი და მისი მომიჯნავე რაიონი დაკავშირებულია ლენინგრადის ოლქის მეურნეობასთან და ლადოგის ტბასთან, რომელიც ჩვენი ქვეყნის შიდა აუზი შეიქნა, ვიბორგმა განვითარების უდიდესი პერსპექტივები მოიპოვა.

ომი ზღვაზე

ბერლინი, 14 მარტი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება:

„რეიდიდან დაბრუნების შემდეგ წყალქვეშა ნავის მეთაურმა შტარტმა წარმოადგინა პატაკი, რომ მან ჩასძირა მტრის გემები, რომელთა საერთო წყალწყვა 24.600 ტონას უდრის. ამგვარად, ამ წყალქვეშა ნავმა, რომელმაც გასული წლის სექტემბერში ინგლისის ავიამზიდი „კორეიჯესი“ ჩასძირა, ორი რეიდის დროს ჩასძირა გემები, რომელთა საერთო წყალწყვა 66.566 ტონას უდრის“.

საუკანგეთის პასუხი იაპონიის პროვესტზე

ტოკიო, 14 მარტი (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტო გადმოგვცემს ოფიციალურ ინფორმაციას, რომელიც იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ხანოიდან (საფრანგეთის ინდო-ჩინეთი) და პარიზიდან მიიღო საფრანგეთის ხელისუფალთა მიერ იაპონიის გემ „ბანგკოკ-მარუზე“ ფოსტის დაკავების გამო.

საფრანგეთის მთავრობა იაპონიის ხელისუფლებას აცნობებს, რომ ეს ფოსტა დაბრუნებულ იქნება, გარდა ისეთი ფოსტისა, რომელიც სამხედრო ინფორმაციას შეიცავს. საფრანგეთის ხელისუფალნი შემდეგშიაც ავლენ იაპონიის სავაჭრო გემებზე იაპონიის ხელისუფლების წარმომადგენელთა თანდასწრებით.

პენჯაბის პროვინციის ყოფილი ინგლისელი გუბერნატორის მოკვლა

ლონდონი, 14 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ გუშინ ლონდონში აღმოსავლეთ-ინდოეთის ასოციაციის კრებაზე კექსტონ ჰოლის შენობაში უცნობმა ინდოელმა ოთხი გასროლით მოჰკლა პენჯაბის პროვინციის ყოფილი გუბერნატორი ო'დვაიერი და მსუბუქად დასჭრა ინდოეთის და ბირმის საქმეთა მინისტრი ზეტლენდი, ბომბეის პროვინციის ყოფილი გუბერნატორი ლამინგტონი და მთელი რიგი სხვა პირები. მკვლელი დაპატიმრებულია. მან თავისთავს ინჟინერი აზადი უწოდა. აზადმა განაცხადა, რომ მის მიერ მოწყობილი თავდასხმა წარმოადგენს შურისძიების აქტს 1919 წელს ამრისტარში ინდოელთა დახვრეტისათვის, როდესაც ო'დვაიერს პენჯაბის პროვინციის გუბერნატორის პოსტი ეკავა.

გორკის პიესა „მეშჩანეს“ პრემიერა კაუნასში

კაუნასი, 14 მარტი (საკდესი). გუშინ სახელმწიფო თეატრში უდიდესი წარმატებით ჩაიარა გორკის პიესის „მეშჩანეს“ პრემიერამ.

ამ დადგმასთან დაკავშირებით თეატრის ფოიეში გაიხსნა გორკის შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა.

16 მარტს, საღამოს 7 საათზე, „კომუნისტის“ რედაქციის ბინაზე (ლენინის ქ. № 28, მე-4 სართული) შესდგება გაზ. „კომუნისტის“ რედაქციასთან არსებული ძირეული პრესის მუშაკთა მოსამზადებელი კურსების

მოკრიბი მეცადინეობა

მსმენელთა დასწრება სავალდებულოა.

ომი ჩინეთში

ტოკიო, 14 მარტი (საკდესი). ჩანკაიშეკის ჯარებმა ხელახლა დაიწყეს ბრძოლა ჩინეთის ჩრდილოეთ ფრონტზე. ჩინეთის ცენტრალური სამთავრობო ორგანო „ჩუნგ-ჰუა ჯიპაო“ იუწყება, რომ ჩანკაიშეკის ჯარებმა ხელახლა დაიწყეს ბრძოლა ჩინეთის ჩრდილოეთ ფრონტზე. ჩინეთის ცენტრალური სამთავრობო ორგანო „ჩუნგ-ჰუა ჯიპაო“ იუწყება, რომ ჩანკაიშეკის ჯარებმა ხელახლა დაიწყეს ბრძოლა ჩინეთის ჩრდილოეთ ფრონტზე.

ინგლისის საზღვაო ბლოკადა

ლონდონი, 14 მარტი (საკდესი). ინგლისის საზღვაო ბლოკადის ხელმძღვანელობა ინგლისის ნავსადგურებში შეჩერებულ ნეიტრალურ გემებს ატარებინებს ინგლისის ნავსადგურებში, სადაც ხდება მათი ტვირთის შემოწმება. ინგლისის ნავსადგურებში შეჩერებულ ნეიტრალურ გემებს ატარებინებს ინგლისის ნავსადგურებში, სადაც ხდება მათი ტვირთის შემოწმება.

ინგლისის ავიამზიდის ჩაძირვა

ლონდონი, 14 მარტი (საკდესი). ადმირალტეიმ ოფიციალურად დაადასტურა, რომ გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩაძირა ინგლისის ავიამზიდი „გლორიუსი“. ადმირალტეიმ ოფიციალურად დაადასტურა, რომ გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩაძირა ინგლისის ავიამზიდი „გლორიუსი“.

ინგლისის ნაღმები

ლონდონი, 14 მარტი (საკდესი). ადმირალტეიმ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ინგლისის ნაღმებმა ჩაძირეს ორი გერმანული ნაღმოსანი. ადმირალტეიმ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ინგლისის ნაღმებმა ჩაძირეს ორი გერმანული ნაღმოსანი